

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეიმურაზ გოგნაძე

სახელმწიფო შესყიდვების მართვის ორგანიზაცია

ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მურთაზ მაღრაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი



თბილისის
უნივერსიტეტის
ბაზოცემოვა

თბილისი 2013

სარჩევი

შესავალი	3
თავი I. სახელმწიფო შესყიდვების მართვის არსებული სისტემების შედარებითი ანალიზი	11
1.1. სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალიზებული მართვის ორგანიზაციის არსებული სისტემის ანალიზი	11
1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეცენტრალიზებული მართვის სისტემის ანალიზი	35
1.3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზაციის თავისებურებები	49
თავი II. სახელმწიფო შესყიდვების მართვაში ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაციული უზრუნველყოფის შემუშავება	60
2.1. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით ტენდერების ჩატარებისთვის სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზაციის დებულების შემუშავება	60
2.2. დამკვეთი (შემსყიდველი) ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დავალების შემუშავება	66
2.3. ტენდერის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსება ინტერნეტსა და პრესაში	80
2.4. ინტერნეტის საშუალებით ტენდერში მონაწილეთა წინადადებების შეგროვება	85
2.5. ონლაინ რეჟიმში ტენდერში მონაწილე ფირმათა შორის გამარჯვებული ფირმის (ფირმების) გამოვლენა	88
2.6. გამარჯვებულ ფირმასთან (ფირმებთან) კონტრაქტის გაფორმება	107
თავი III. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა	109
3.1. სისტემის რეალიზაციისათვის საჭირო ალგორითმები	109

3.2. სისტემის რეალიზაციისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება	115
3.3. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის პლატფორმის შერჩევა	175
თავი IV. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება	178
4.1. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება	178
დასკვნები და წინადადებები	183
გამოყენებული ლიტერატურა	186
დანართები	190

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იმდენად მყარად დამკვიდრდა სიტყვები **ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები**, რომ ხშირად მათ ისე ვიყენებთ, არც ვუფიქრდებით მათ ზუსტ მნიშვნელობებს. მეცნიერებაში ძალიან მნიშვნელოვანია ძირითადი ტერმინების ზუსტი განსაზღვრა. ინფორმატიკა წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, გადაცემისა და მეცნიერული დამუშავების ჯგუფს. ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენებიან ადამიანური ცოდნის ამ დარგში, დღეს მიღებულია, რომ ვუწოდოთ ინფორმაციული ტექნოლოგიები. ინფორმატიზაცია თანამედროვე ეტაპზე ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია.

ინფორმატიზაცია წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს საერთო ცივილიზაციის განვითარების პარალელურად. საქართველოშიც, ისე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, მიმდინარეობს ინფორმატიზაციის პროცესი. საქართველოს საზოგადოების ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია ასახავს ინფორმატიზაციის მნიშვნელობასა და როლს საქართველოში, გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგად ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებს, განსაზღვრავს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, უმთავრეს მიმართულებებსა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციების გზებს. ინფორმაციული საზოგადოება წარმოადგენს ცივილიზაციის განვითარების ახალ ისტორიულ ფაზას, რომლის უმთავრესი რესურსი და პროდუქტი ინფორმაცია და ცოდნაა.

კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ ბიძგი მისცა ახალი საზოგადოების ფორმირებას, რომელიც აგებულია სხვადასხვა ინფორმაციის გამოყენებაზე. ამ საზოგადოებას უწოდეს ინფორმაციული საზოგადოება.

ამა თუ იმ ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების აშენება დაკავშირებულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებთან და სახელმწიფოთა შორის კავშირების გარეშე აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი იქნება.

ქვეყანაში ინფორმატიზაციის განხორციელება მოითხოვს დიდი ოდენობით კაპიტალდაბანდებებს, მისი განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების გარეშე. გარდა ამისა, ინფორმაციული საზოგადოების აშენება არის პროცესი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო მსოფლიოს განვითარების ტრენდებს, არამედ იგი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ეროვნულ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ჩამოყალიბდეს ინფორმაციულ საზოგადოებაში შესვლის ნაციონალური კონცეფცია, შემუშავდეს ინფორმატიზაციის პროგრამა. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს უკვე შემუშავებული აქვთ ასეთი სახის პროგრამები. არსებობს ინფორმაციული საზოგადოების აშენების ალტერნატიული მოდელები, როგორცაა, მაგალითად, ამერიკული, იაპონური, გერმანული, სინგაპურული, ფინური, შვედური, ინდური და ა. შ, რომლებშიაც ასახულია თითოეული ქვეყნის ნაციონალური თავისებურებები.

ინფორმაციული საზოგადოება კაცობრიობის განვითარების მაღალი ფაზაა, რომლის მთავარ რესურსს ცოდნა, ინფორმაცია წამოადგენს და რომელშიაც საზოგადოების ნებისმიერ სუბიექტს (ინდივიდი, ჯგუფი, საწარმო, ორგანიზაცია და სხვ.) თავისუფლად შეუძლია ისარგებლოს მსოფლიოში დაგროვილი ინფორმაციით, გარდა სახელმწიფო საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაციისა.

ინფორმაციული საზოგადოების საფუძველია: ინფორმაციული ეკონომიკა, ელექტრონული მთავრობა, ელექტრონული კომერცია, ქვეყნის ინტერნეტიზაცია, ელექტრონული ბიზნესის განვითარება, ინფორმაციის წარმოებასა და გავრცელებაზე დაკავებულ ადამიანთა წილის გადიდება ქვეყნის შრომისუნარიან მოსახლეობაში, ერთიანი ინფორმაციული სივრცის ფორმირება.

ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება და ფუნქციონირება შეუძლებელია ელექტრონული მთავრობის არსებობის გარეშე. ელექტრონული მთავრობა წარმოადგენს სახელმწიფოს მართვის სისტემას, დაფუძნებულს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ლოკალური და გლობალური ქსელების საშუალებით სახელმწიფო, არასახელმწიფო სტრუქტურებსა და მოქალაქეთა შორის ინფორმაციის ციფრულ-ელექტრონულ გაცვლაზე. ინტერნეტის და სხვა მასთან დაკავშირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედებით იცვლება ურთიერთობები ბიზნესსა და მთავრობას, მთავრობასა და ბიზნესს შორის, როგორც მოქალაქეებს, ისე მთავრობასა და მოქალაქეებს შორის.

ელექტრონული მთავრობა, როგორც მმართველობის ორგანოს ორგანიზების ერთ-ერთი ფორმა, გულისხმობს საჯარო დაწესებულებების ფუნქციურ და სტრუქტურულ გარდაქმნებს, რათა უფრო თანმიმდევრული, მარტივი და მიზანმიმართული, ინდივიდუალიზებული და, საბოლოო ჯამში, გაცილებით ეფექტური გახდეს ურთიერთქმედებები მოქალაქეებთან, მეწარმეებთან, თვით საჯარო მოსამსახურეებთან და, აგრეთვე, სხვადასხვა დაწესებულებას შორის.

ელექტრონული მთავრობა საინფორმაციო საზოგადოების მმართველობითი პრინციპის განხორციელებაა. იგი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გასული საუკუნის ბოლოს მომხდარი რევოლუციის პირმშოა. თანამედროვე ტექნიკური რევოლუციის შედეგია, რომ დღეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების (აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა) მმართველობითი ტექნოლოგიების წამყვანი პრინციპი სწორედ ელექტრონული მთავრობაა. მაშასადამე თანამედროვე მმართველობის სისტემები და სტრუქტურები ეფუძნებიან საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. პრაქტიკულად კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებულია მათი დოკუმენტბრუნვა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება და გადაგზავნა, გადაწყვეტილების მიღების, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედებები მოსახლეობასთან (არა მარტო არჩევნები, არამედ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება-მიღება, სხვადასხვა კერძო საქმიანობის ლიცენზირება, გადასახადების გადახდა და ადმინისტრირება და ა.შ.), საკუთარ თანამშრომლებთან (საჯარო მოსამსახურეებთან) და ერთმანეთთან (სხვადასხვა დონისა და დარგის საჯარო დაწესებულებებს შორის) ურთიერთქმედებანი.

ელექტრონული მთავრობა, პირველ რიგში, ეფუძნება საჯაროობას, ელექტრონული სერვისების მიწოდებას საზოგადოებისათვის და საჯარო ადმინისტრირებას. გერმანიაში ელექტრონული მთავრობის საკმაოდ კარგი მოდელია. ეს სისტემა კარგად არის განვითარებული სკანდინავიის ქვეყნებში, ფინეთში, შვედეთში, ესტონეთში, სლოვაკეთში.

ელექტრონული მთავრობა ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს ინტერაქტიულ რეჟიმში მიიღონ ინფორმაცია სახელმწიფო და სხვა სტრუქტურებიდან მათთვის საინტერესო საკითხებზე. მაგ., მოიპოვონ ინფორმაცია საბაჟო და საგადასახადო კანონების, საპრივატიზაციო ობიექტების, ტენდერების მოსალოდნელი ჩატარების, სხვადასხვა კომუნალური მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის შესახებ, საჭირო ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან და სხვა. ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის არსებობისას მაღალ დონეზე უნდა ფუნქციონირებდეს მთავრობა-მთავრობა (**G2G**), მთავრობა-მომხმარებელი (**G2C**), მთავრობა-ბიზნესი (**G2B**) და პირიქით, მომხმარებელი-მთავრობა (**C2G**), ბიზნესი-მთავრობა (**B2G**), ბიზნესი-ბიზნესი (**B2B**) და ა.შ.

ინფორმაციულ საზოგადოებაში მაღალ დონეზე უნდა განვითარდეს ელექტრონული ვაჭრობა ანუ ელექტრონული ბიზნესის ისეთი სისტემები, როგორცაა: ბიზნესი-ბიზნესი (**B2B**), ბიზნესი-მთავრობა (**B2G**) და ბიზნესი-მომხმარებელი (**B2C**).

ინფორმაციულ საზოგადოებაში მაღალ დონეზე უნდა იყოს განვითარებული ელექტრონული კომერცია, რომლის გამოყენების სფერო მრავალფეროვანია. ელექტრონული კომერციით დაინტერესებულია ის საწარმოები, რომლებსაც სურვილი აქვთ გააფართონ ურთიერთობები კლიენტებთან.

ინფორმაციულ საზოგადოებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მფლობელობაში არსებული ფულადი რესურსების ეფექტური გამოყენება, დამკვეთსა და მომწოდებელ სუბიექტებს შორის ისეთი კავშირების დამყარება, რომლის დროსაც ადგილი ექნება, ერთი მხრივ, დამკვეთისადმი მისაღებ ფასებში უმაღლესი ხარისხის, გარანტირებული საქონლისა და მოწყობილობების მოწოდებას და, მეორე მხრივ, მწარმოებლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ან შესაძლებელი მომსახურების დროული და მისთვის მისაღებ ფასებში რეალიზაცია, რაც მიიღწევა ბაზარზე არსებული მწარმოებლისა და მომხმარებლის ერთმანეთთან ინფორმაციული

კავშირის დამყარებით. აღნიშნულის განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოსთან შექმნილია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა ანუ მოხდა ელექტრონული მთავრობის სეგმენტის [G2B] და [G2C] ელექტრონული რეალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული ფორმით ტენდერების ჩატარების ორგანიზაციას გააჩნია დადებითი მხარეები, მას აგრეთვე აქვს უარყოფითი მომენტები: არშემდგარი და ჩაშლილი ტენდერების დიდი რაოდენობა, მომწოდებლებთან არასაკმარისი ოპერატიული ინფორმაციული კავშირი, რის გამოც დიდ დანაკარგებს განიცდის ტენდერში მონაწილე ყველა სუბიექტი (შემსყიდველი ორგანიზაცია, მომწოდებელი და სახელმწიფო). ყოველივე აღნიშნულის გამო აუცილებელია აღნიშნული უარყოფითი მომენტების გამოსწორება, რისი მიღწევაც შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ელექტრონული ტენდერების ჩატარების სისტემის ორგანიზების საფუძველზე.

პრობლემის მეცნიერული დამუშავება

დამკვეთის დონეზე ელექტრონული ტენდერების ჩატარების პრობლემის გამოკვლევა პირველად ხორციელდება. ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს საფუძველად დაედო: ინფორმატიკის თეორიული საფუძვლები, ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების პრინციპები, საზოგადოების ინფორმატიზაციის კუთხით არსებული თეორიული გამოკვლევები, ტენდერების ჩატარების შესახებ არსებული უცხოური ლიტერატურა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საკანონმდებლო უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოშვებული ბრძანებები და მითითებები, პრესაში ტენდერების ელექტრონული ცენტრალიზებული ფორმით ჩატარების მისამართით გამოთქმული შენიშვნები და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტენდერების ფაქტობრივი მასალები.

გამოკვლევის მიზანი და ამოცანები

საწარმოები და ორგანიზაციები, ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მიმართავენ საქონლისა და მომსახურების შესყიდვას ტენდერების ორგანიზების საშუალებით. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ჩატარებული ტენდერების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ნაკლოვანებები,

რომლებიც გააჩნია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული ფორმით ტენდერების ჩატარების პროცესს.

ამ ნალოვანებების აღმოფხვრის მიზნის მისაღწევად, სადისერტაციო გამოკვლევა იდგა შემდეგი ამოცანების წინაშე:

- მოგვეხდინა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ცენტრალიზებულად ჩატარებული ტენდერების დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი;
- დაგვესაბუთებინა უშუალოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ელექტრონული ტენდერების ჩატარების აუცილებლობა და მისი უპირატესობები;
- შეგვემუშაებინა შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე) სტრუქტურული ქვეგანყოფილებებიდან შესაძენ საქონელზე, მომსახურებაზე ან შესასრულებელ სამუშაოებზე განაცხადების ელექტრონული სახით ფორმირებისა და შესყიდვების განყოფილებაში გადაცემის ტექნოლოგია;
- შეგვემუშაებინა შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე) სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი და მისი გამოყენების ინსტრუქცია;
- მოგვეხდინა მონაცემთა ბაზების საფუძველზე სატენდერო დავალების ელექტრონული სახით ფორმირება;
- ონლაინ რეჟიმში ტენდერის ჩატარებისათვის შემსყიდველი ორგანიზაციისა და მომწოდებლის ინფორმაციის ასატვირთად შეგვექმნა ვებგვერდი.
- ტენდერში მონაწილე მომწოდებელთა შორის გამარჯვებულის გამოსავლენად შეგვემუშაებინა ორიგინალური ალგორითმები და პროგრამული უზრუნველყოფა;
- შეგვემუშაებინა ინსტრუქცია ონლაინ რეჟიმში ტენდერში მონაწილეთა (კომისიის წევრები, დამკვირვებლები და დაინტერესებული პირები) სამუშაო ადგილებიდან მოუწყვეტლივ, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

- შეგვემუშავებინა ტენდერების ჩატარების ისეთი ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოადგებოდა საკუთრების ნებისმიერი ფორმის სუბიექტს;
 - სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამარტივება, ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების მინიმიზაცია, სახელმწიფო სახსრების გამჭვირვალე ხარჯვის უზრუნველყოფა, შესყიდვების პროცესში კონკურენციის გაზრდა, სატენდერო პროცედურებში სუბიექტური გადაწყვეტილების მაქსიმალური აღმოფხვრა;
 - შეგვემუშავებინა შესყიდვების მთლიანი ელექტრონული ფორმა საქონელზე და მომსახურებაზე შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მოთხოვნების ფორმირებიდან დაწყებული გამარჯვებულ მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებით და მისი შესრულების კონტროლის ჩათვლით.
- ნაშრომში ეს ამოცანები გადაწყვეტილია.

ამოკვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია შემსყიდველი წარმოება-დაწესებულებებისათვის ელექტრონული ფორმით ტენდერის ჩატარების სისტემის შემუშავება.

კვლევის ობიექტია საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე წარმოება-დაწესებულებები, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. შემუშავებულია შემსყიდველი ორგანიზაციის (თსუ-ის მაგალითზე) სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან შესაძენ საქონელზე, მომსახურებაზე ან შესასრულებელ სამუშაოებზე განაცხადების ელექტრონული სახით ფორმირებისა და შესყიდვების განყოფილებაში გადაცემის ტექნოლოგია;
2. შემუშავებულია შემსყიდველი ორგანიზაციის (თსუ-ის მაგალითზე) სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი და მისი გამოყენების ინსტრუქცია;
3. MS Access 2007-ის გარემოში შექმნილია სატენდერო დავალების ფორმირებისთვის საჭირო მონაცემთა ბაზა,

4. ონლაინ რეჟიმში ტენდერის ჩატარებისათვის შემსყიდველი ორგანიზაციისა და მომწოდებლის ინფორმაციის ასატვირთად შექმნილია თსუ-ის შესყიდვების განყოფილების ვებ-გვერდი;
5. გამოკვლეული და შემუშავებულია ორიგინალური ალგორითმები და პროგრამული უზრუნველყოფა ტენდერში მონაწილე მომწოდებელთა შორის გამარჯვებულის გამოსავლენად;
6. შემუშავებულია ინსტრუქცია ონლაინ რეჟიმში ტენდერში მონაწილეთა (კომისიის წევრები, დამკვირვებლები და დაინტერესებული პირები), სამუშაო ადგილებიდან მოუწყვეტილ, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად;
7. შემუშავებულია ტენდერების ჩატარების ისეთი ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოადგება საკუთრების ნებისმიერი ფორმის სუბიექტს;
8. უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში სუბიექტური გადაწყვეტილების მაქსიმალური აღმოფხვრა;
9. შემუშავებულია შესყიდვების მთლიანი ელექტრონული ფორმა საქონელზე და მომსახურებაზე შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მოთხოვნების ფორმირებიდან დაწყებული გამარჯვებულ მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებით და მისი შესრულების კონტროლის ჩათვლით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული თსუ-ის შესყიდვების განყოფილების მიერ ელექტრონული ტენდერების ჩატარებისას და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინის "სახელმწიფო შესყიდვები" სწავლებისას.

გამოკვლევის შედეგების რეალიზაცია

სადისერტაციო ნაშრომის გამოკვლევების შედეგები გამიზნულია, საფუძვლად დაედოს წარმოება-დაწესებულებების მიერ ტენდერების ჩატარების მეთოდოლოგას.

გამოკვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია

გამოკვლევების შედეგები აისახა დისერტანტის მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო ნაწილის მიერ ორგანიზებულ სამ კოლოქვიუმზე გაკეთებულ მოხსენებებში, 2013 წლის 20 თებერვალს კათედრაზე (ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში) დისერტაციის აპრობაციის მასალებში და ოთხ გამოქვეყნებულ ნაშრომში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე დაბეჭდილ 211 გვერდს. ნაშრომში წარმოდგენილია 4 სქემა, 9 ცხრილი, 3 ნახაზი, 14 სურათი. ნაშრომს ერთვის 2 დანართი და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. სახელმწიფო შესყიდვების მართვის არსებული სისტემების შედარებითი ანალიზი

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალიზებული მართვის ორგანიზაციის არსებული სისტემის ანალიზი

სახელმწიფო შესყიდვა არის ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა. იგი შესაძლებელია განხორციელდეს ტენდერის საშუალებით. ტენდერი (tender) ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ვაჭრობას, კონკურსს¹.

ტენდერის სტრუქტურა აშშ-ში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში². ცნობილია, რომ 1946 წელს გერმანიის ქალაქების აღსადგენად გამოყოფილ იქნა დიდი რაოდენობის ფული, რომლის დიდი ნაწილი დაურიგდათ ამერიკელ ჩინოვნიკებს და მისი გამოყენება მოხდა არაეფექტურად. აღნიშნულის თავიდან აცილებისა და მომწოდებლების ობიექტურად ამორჩევის მიზნით ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს ტენდერის ჩატარების პროცედურები. ასე აღმოცენდა ტენდერის ჩატარების პროცედურა.

ასეთივე გადაწყვეტილებამდე მივიდა XX საუკუნის 50-იან წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის კომისია, რომელმაც გამოსცა სტანდარტული კანონი საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვის შესახებ. კანონში დაწვრილებით იყო გაწერილი ტენდერის ჩატარების პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ატარებდა სარეკომენდაციო ხასიათს, მრავალი ქვეყანა ასრულებდა მას და მასში შეიტანა

¹ <http://nesmееva.narod.ru/direktor/tender.htm>. Анна Несмеева, март 2005 г

² <http://nesmееva.narod.ru/direktor/tender.htm>

გარკვეული ცვლილებები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს კანონი დაედო საფუძვლად საერთაშორისო საინვესტიციო ფონდების შექმნის წესს. მაგ., რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, როგორც მსოფლიო ბანკის ქვეგანყოფილებას, თვით მსოფლიო ბანკს. ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორი ტენდერების ჩატარებაზე გადავიდა XX საუკუნის 60-იან წლებში. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელიც აფინანსებს კომერციულ სტრუქტურებს, სარგებლობს მსოფლიო ბანკში მიღებული ტენდერის ჩატარების წესით.

პრაქტიკაში ცნობილია ტენდერების ჩატარების ორი ფორმა – ღია და დახურული.

ღია ტენდერი შესყიდვის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მომწოდებელს (კონკურსანტს), რომელიც გამოეხმაურება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ინტერნეტში, გაზეთებში, ჟურნალებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებულ განცხადებას. ღია ტენდერი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია, მიახლოებით მაინც, წარადგენს, როგორი ტიპის სამუშაოები და მომსახურებები უნდა განხორციელდეს შედეგის მისაღწევად. შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერის პირობის “Brief” აღწერაში მიუთითებს პრობლემებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ტენდერში მონაწილე მიმწოდებლები წარმოადგენენ თავიანთ ხედვას და შემსყიდველი ორგანიზაცია დებულობს უნიკალურ შანსს სრულად განიხილოს სხვადასხვა მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებები.

დახურულია ტენდერი, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პერსონალურად მოწვეული სუბიექტები. დახურული ტენდერების დროს არც მიმწოდებელი კომპანიების მიწვევაზე და არც ტენდერის შედეგებზე ინფორმაცია არ ვრცელდება. დახურული ტენდერი ტარდება მაშინ, როდესაც, ჯერ ერთი, მიმწოდებლის მცირე რაოდენობას აქვს ის კვალიფიკაცია, რომელიც აკმაყოფილებს შემკვეთს ან/და პროდუქციის, მომსახურების მიწოდება შეუძლია შეზღუდული რაოდენობის მომწოდებელს, და მეორე, როდესაც შესყიდვა გასაიდუმლოებულია, ან/და პროდუქციის შესყიდვა ხდება უსაფრთხოების მიზნით. ტენდერის ჩატარება შეიძლება ერთ ან ორ ეტაპად. ერთეტაპიანი ტენდერის დროს სატენდერო წინადადებების ტექნიკური და კომერციული ნაწილების, შეფასებების კონვერტების გახსნა და აუქციონის ჩატარება წარმოებს ერთდროულად (დანიშნულ დღეს).

ტენდერის ჩატარების დრო და თარიღი (კონვერტების გახსნა სატენდერო წინადადებებისა და აუქციონის ჩატარებით) მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში. სატენდერო აუქციონებზე დარეგისტრირებული კონკურსანტების წარმომადგენლების დასწრება აუცილებელია.

ყველაზე გავრცელებულია ტენდერების ჩატარების ორეტაპიანი მოდელი: პირველ ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია პრეტენდენტებთან მოლაპარაკება ტექნიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით, ხოლო მეორე ეტაპზე განიხილება

მომწოდებლების მიერ შემოთავაზებული წინადადებები საქონლის, მომსახურების ან შესასრულებელი სამუშაოების კრიტერიუმების შესახებ.

ამ ბოლო დროს გავრცელებულია ელექტრონული ტენდერები (ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერები):

1. ელექტრონული ტენდერი ტარდება მაშინ, როცა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 200000 ლარზე მეტია. ამ დროს პრეტენდენტს სულ მცირე 20 დღე აქვს იმისათვის, რომ წინადადება წარმოადგინოს;

2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ტარდება მაშინ, როცა შესყიდვების სავარაუდო ღირებულება 5000–200000 ლარამდეა. ამ დროს პრეტენდენტს 3 დღე აქვს წინადადებების წარმოსადგენად. ტენდერის ჩასატარებლად მხოლოდ ერთი ზღვარი – 5000 ლარი არსებობს³.

ტენდერში მონაწილეობისათვის მიმწოდებელი იხდის საფასურს – 50 ლარს, შემდეგ წარადგენს საგარანტიო თანხას (1%). ტენდერში მონაწილეობის საკვალიფიკაციოდ კონკურსანტს ადრე სჭირდებოდა 5 სხვადასხვა დაწესებულებიდან 6 სხვადასხვა საბუთი. ახლა კი ტენდერში გამარჯვებულმა, ტენდერის დასრულების შემდეგ, უნდა წარმოადგინოს სამი საბუთი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ცნობა სასამართლოდან გადახდისუნარიანობის შესახებ და დავალიანების ცნობა საგადასახადოდან. სისტემა ავტომატურად ავლენს ფასის მიხედვით გამარჯვებულს (უპირატესობა ენიჭება დაბალ ფასს). აქ ქულები არ არსებობს, არის მხოლოდ კრიტერიუმები. მაგალითად: საგარანტიო პერიოდი საქონელზე ან მომსახურებაზე, ხარისხი, მიწოდების ვადები. თითოეული კრიტერიუმი ფასდება პლუსით ან მინუსით, ანუ შეფასება ფაქტობრივად ავტომატურია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებულ ელექტრონული შესყიდვების ფორმას აქვს რიგი დადებითი მხარე, მისი ნეგატიური მახასიათებელია ის, რომ მიმწოდებლის წინადადების შეფასების კრიტერიუმად აღებულია ფასი, რაც ყოველთვის არ ამართლებს.

რაც შეეხება მთლიანობაში კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ელექტრონული წესით ტენდერების ჩატარებას, მისი ნაკლოვანებებია:

ა) სამუშაოების უდიდესი ნაწილი მაინც შემსყიდველ ორგანიზაციაში სრულდება;

ბ) მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მომწოდებლისათვის გამოცხადებული ტენდერის შესახებ საჭიროების შემთხვევაში დეტალური ინფორმაციის ოპერატიულად და ხარისხიანად მიწოდება და დაზუსტება, ვიდრე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

გ) შემსყიდველი ორგანიზაცია აფორმებს კონტრაქტს გამარჯვებულ მიმწოდებელთან;

³http://procurement.gov.ge/files/_data/geo/samartleblivi_aqtebi/saqartvelos_kanoni_saxelmwifo_shesqidvebis_shesaxeb.pdf
საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, გვ. 36-39.

დ) შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს დადებული კონტრაქტის პირობების შესრულების მონიტორინგი.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ისეთი ნაკლის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია იმ ზარალის ანაზღაურებასთან, რომელიც შეიძლება მიადგეს მომწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზეზით ჩაშლილი ტენდერის გამო, მისი მხრიდან რაიმე დარღვევის შემთხვევაში.

ხშირად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, ერთი დღის განმავლობაში აუცილებელი ხდება ათობით ტენდერის ჩატარება, რაც იწვევს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლების გადატვირთვას.

ტენდერის უშუალოდ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებისას ეს პრობლემები ავტომატურად იქნება გადაწყვეტილი.

ჩაშლილი და არშემდგარი ტენდერები დიდ ზარალს აყენებს არა მარტო შემსყიდველ ორგანიზაციას, არამედ მომწოდებლებს, როგორც ბიზნესის წარმომადგენლებს. ისინი ვერ ღებულობენ შეკვეთებს, ზარალდება სახელმწიფოს ბიუჯეტიც, რადგან გადასახადების სახით არ შედის შესაბამისი თანხები. მაგ., 2011 წლის იანვრის თვეში გამოცხადდა 2565 ტენდერი. წარმატებულად დასრულდა მხოლოდ 759. 1806-მა სახელმწიფო უწყებამ ვერ მიიღო სასურველი მომსახურება ("ჯი-ეიჩ-ენი", გოჩა მირცხულავა ახალი ამბების სააგენტო, 02-02-2011 წ)⁴.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია: რამდენიმეჯერ ჩაშლილი ტენდერისთვის ჩატარდეს გამარტივებული ტენდერი; შავ სიაში მოხვედრილ მომწოდებლებს არ უნდა მიეცეს ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლება; თუ ტენდერის ღირებულება მცირეა (მაგ., 5000 ლარამდე) არ უნდა იყოს საგაღდებულო ყველა ცნობის წარმოდგენა; ასევე, უნდა გაიზარდოს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციისათვის დოკუმენტების წარმოდგენის დრო, რათა თავიდან იქნეს აცილებული დოკუმენტების ოპერატიულად გაცემისათვის სახელმწიფო ორგანოებისათვის დამატებითი თანხების გადახდა; ტენდერების ჩატარება მოხდეს ელექტრონული ფორმით, არა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, არამედ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ. აუცილებელია შესყიდვების ორგანიზაციის მიერ სატენდერო დავალების ხარისხიანად მომზადება.

ისმის კითხვა, მაშინ რით არის გამართლებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ცენტრალიზებული წესით ტენდერების ჩატარება?

ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა მისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გამოყენების კონტროლის ორგანიზაცია, ამდენად, ალბათ, უკეთესი იქნება ტენდერების ჩატარება მოხდეს უშუალოდ შემსყიდველ ორგანიზაციებში, ელექტრონული ფორმით. ტენდერების შედეგები და სატენდერო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფორმით, რაც მას საშუალებას მისცემს, განახორციელოს

⁴ <http://www.ghn.ge/print-33409.html>

კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი წარმოება-დაწესებულებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ეფექტურად გამოყენების მიზნით.

ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა სატენდერო დავალების ფორმირების ელექტრონული სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვეგანყოფილებების მიერ საქონელსა და მომსახურებაზე ან შესასრულებელ სამუშაოებზე განაცხადების ფორმირებას და უნივერსიტეტის შესყიდვების განყოფილებაში მის გადაცემას. შემოთავაზებული სისტემა ასევე ამცირებს შესყიდვების განყოფილების თანამშრომელთა შრომატევადობას ტენდერის მონაცემთა ბაზის ფორმირებისას.

არსებული წესით ტენდერის ჩატარებისას უნივერსიტეტის შესყიდვების განყოფილებაში სტრუქტურული განყოფილებებიდან შეკვეთები შემოდის ჩვეულებრივ ქაღალდზე დაბეჭდილი სახით, სტრუქტურული ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელების ხელმოწერით. მონაცემთა ბაზაში ამ დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის შესატანად საჭიროა მასში დაფიქსირებული ინფორმაციის კოდირება და შესყიდვების განყოფილების მენეჯერის მიერ კომპიუტერში ხელით მისი შეტანა, რაც დიდ დროს მოითხოვს და არ არის გამორიცხული, ინფორმაციის კომპიუტერში შეტანისას, ადგილი ჰქონდეს შეცდომებსაც. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინფორმაციის შეგროვების ახალი ტექნოლოგია მნიშვნელოვნად შეამცირებს ტენდერისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების შრომატევადობას, აამაღლებს ინფორმაციის უტყუარობას, გააუმჯობესებს შეკვეთების მონაცემთა ბაზის ფორმირებისა და წარმოების პროცესს.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებისა და "სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის" დამტკიცების საფუძველზე 2010 წლის 1 დეკემბრიდან შესყიდვები ხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი შესყიდვების საშუალებით ერთიან ელექტრონულ სისტემაში⁵.

შესყიდვის საშუალებები:

- ელექტრონული ტენდერი – 200 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის (საანგარიშო წლის განმავლობაში) ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის პროცედურებს და მის განხორციელებას ესაჭიროება არანაკლებ 40 დღისა.

⁵ <http://www.tsu.edu.ge/ge/tender/gv1v1zctjabarkw5t>

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – 200 000 ლარზე ნაკლები ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი (საანგარიშო წლის განმავლობაში) ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებულ პროცედურებს. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის პროცედურებს ესაჭიროება არანაკლებ 15 დღისა.

- გამარტივებული (პირდაპირი) შესყიდვა – 5 000 ლარამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა (საანგარიშო წლის განმავლობაში).

ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ცხადდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომელშიც შემსყიდველმა ელექტრონულად უნდა ატვირთოს სისტემაში სატენდერო დოკუმენტაცია და დაელოდოს მომწოდებელთა წინადადებებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი უნდა იყვნენ ამავე სისტემაში. სისტემაში შესვლა შესაძლებელია კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდის მეშვეობით (<http://procurement.gov.ge>).

საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მიზანიან⁶:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

სახელმწიფო შესყიდვა არის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში, ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი

⁶ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 2

საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა, რომელიც ხორციელდება შემდეგი სახსრებით⁷:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით;

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით;

3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით;

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისისა;

6. სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით;

7. საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების–უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების–განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი, მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საწარმოების მიერ უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, გარდა ამ კანონის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

⁷ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 3

8. იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (გარდა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი გამონაკლისებისა).

სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, მათ შორის არასამეწარმეო იურიდიულმა პირმაც.

გამარტივებული შესყიდვა არის შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება⁸:

ა) 5 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში;

ბ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში (2012 წლის 1 იანვრიდან–20 000 ლარამდე);

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში (2012 წლის 1 იანვრიდან–20 000 ლარამდე);

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში (2012 წლის 1 იანვრიდან–20 000 ლარამდე);

ე) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში (2012 წლის 1 იანვრიდან–20 000 ლარამდე);

ვ) გარდა ამისა, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც ხდება გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენება.

⁸ <http://www.civilin.org/faq.php?q=43>

რა შემთხვევაში ხდება ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელება?⁹

ელექტრონული ტენდერის საშუალების გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება 200 000 ლარისა და მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა.

ისმის კითხვა: რა შემთხვევაში ხდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელება?¹⁰

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვა.

გადაიხდებიან თუ არა ტენდერში მონაწილეობისათვის საფასური და რამდენია მისი ოდენობა?¹¹

კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პროცედურების შემთხვევაში საკონკურსო ან სატენდერო წინადადების წარდგენისათვის წესდება საფასური 50 ლარის ოდენობით, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერის პროცედურების შემთხვევაში სატენდერო წინადადების წარდგენისათვის – 5 000 ლარის ოდენობით.

შემსყიდველი ორგანიზაციის ქვეშ იგულისხმება შესყიდვების განმახორციელებელი სუბიექტი, რომელიც რეგისტრირდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში¹². შესყიდვის ობიექტია შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო, ხოლო შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტი კი იდენტური ან არაიდენტური მსგავსი კომპონენტებისა და ტექნიკური მახასიათებლების ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტი. ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავისა), როგორც მყარ, ისე თხევად მდგომარეობაში არის საქონელი. საქონელია აგრეთვე საქონლის მოწოდების თანმდები მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას. სამშენებლო სამუშაოს ქვეშ იგულისხმება შენობა-ნაგებობის ან სხვა ობიექტის

⁹<http://www.civilin.org/faq.php?q=45#45>

¹⁰<http://www.civilin.org/faq.php?q=44#44>

¹¹<http://www.civilin.org/faq.php?q=46>

¹² საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 3

მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის–სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება-აშენება, ადჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანმდევი მომსახურება, როგორცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას.

მომსახურებაა შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა. ტერმინი "მომსახურება" მოიცავს იჯარას, ქირავნობასა და ლიზინგს. სუბიექტი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური, იწოდება პრეტენდენტად, ხოლო სუბიექტი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, არის მომწოდებელი.

პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- ა) სატენდერო წინადადება, რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი);
- ბ) სატენდერო წინადადების ფასი;
- გ) ინფორმაცია საქონლის გარანტიის ვადების შესახებ;
- დ) ინფორმაცია გადახდის (ანგარიშსწორების) ვადებისა და პირობების შესახებ;
- ე) სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების გრაფიკი.

ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ

განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, იწოდება გადაუდებელ აუცილებლობად.¹³

ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა – განსაკუთრებული სახის შესყიდვაა, რომლის ობიექტია ინტელექტუალური და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება¹⁴: მომსახურება სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში, მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მომსახურება ტელე-რადიომუწეობის სფეროში, მომსახურება არქიტექტურის, საინჟინრო გამოკვლევებისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური დარგის სფეროში, მმართველობითი მომსახურება, მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტები, საპროექტო სამუშაოები და სხვა საქმიანობის სახეები, რომლებიც მიეკუთვნება ინტელექტუალურ მომსახურებას.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შავ სიას ანუ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის¹⁵. მასში ასახულია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა მონაცემები, რომლებიც ამ სიაში შეტანიდან ერთი წლის განმავლობაში ვეღარ დებულობენ მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი, რომელიც სისტემაში მოქმედებს სატენდერო კომისიის სახელით, წარმოადგენს უფლებამოსილ წარმომადგენელს. სისტემაში სათანადო ადგილი უკავია CPV კოდებს. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით განისაზღვრა შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესი, სადაც გამოყოფილია ახალი კლასიფიკატორის 45 ძირითადი ჯგუფი და დანაყოფები ანუ CPV კოდები, რომელშიც შედის 94 000-ზე მეტი პოზიცია. მხოლოდ აღნიშნული კლასიფიკატორით ხორციელდება საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების ერთგვაროვნების დადგენა. კლასიფიკატორის გაცნობა შეიძლება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე. CPV კოდების საშუალებით უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს წლის განმავლობაში შესასყიდი საქონელი,

¹³ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 3.

¹⁴ იქვე.

¹⁵ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 3, "მ" ქვეპუნქტი.

მომსახურებები, სამუშაოები და ჩამოყალიბდეს კონკრეტულ შესყიდვაზე მოთხოვნა. განაცხადი დაგეგმილ შესყიდვაზე განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო პროცედურების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე. დაუგეგმავე შესყიდვა განიხილება, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და საჭიროებს შეთანხმებას ზემდგომ ორგანოებთან.

სისტემის საშუალებით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და შესაბამის ველში მითითებული სატენდერო წინადადების ფასი წარმოადგენს მთლიანობაში სატენდერო წინადადებას, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციას შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით, სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია¹⁶. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, წარმოადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციას. შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებში არ უნდა იყოს მითითებული მწარმოებელი ქვეყანა, მოდელი, ერთეულის ფასი. მითითებული უნდა იყოს საგარანტიო ვადა და ა.შ. ამ დოკუმენტს ხშირად ფასების ცხრილსაც უწოდებენ. თუ მოწოდებულ საქონელში გამოვლენილ იქნა წუნი (ხარვეზი), მაშინ მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის აღმოფხვრა გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

სატენდერო წინადადების წარდგენისათვის კანონით დადგენილია უფლებამოსილი ორგანოს ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხის ოდენობა (საფასური), რომელიც, გარდა შეცდომით გადახდილი თანხისა, დაბრუნებას არ ექვემდებარება¹⁷. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის დროს, შეუძლია ელექტრონული ვაჭრობა, კერძოდ, შესყიდვის პროცედურაში გამარჯვების მიზნით შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი. ელექტრონული ვაჭრობის

¹⁶ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №2.

¹⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №16.

დროს, ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპზე, ინფორმაციას გვაძლევს სტატუსი. სახელმწიფო შესყიდვებში ხშირად იყენებენ წერილობით დოკუმენტს (აფიდავიტს)¹⁸, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისათვის. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა–ესაა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge-ზე განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მომწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადის შევსების შედეგად ხდება შესაბამისი მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება ანუ სისტემაში რეგისტრაცია. პირს, რომელსაც აქვს უფლება სისტემაში რეგისტრაციის გარეშე გაეცნოს სისტემაში არსებულ ინფორმაციას რეგისტრირებული მომხმარებლების შესახებ და ონლაინ რეჟიმში დააკვირდეს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურას, უწოდებენ სტუმარს. სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ განთავსებული განცხადება გამარტივებული ელექტრონული ან ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებაა.

სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია¹⁹:

1. ტენდერის ტიპი;
2. სატენდერო განცხადების ნომერი;
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;
4. ტენდერის გამოცხადების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;
5. წინადადების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2012 წლის წლის 18 იანვრის №14 დაგეგმვის დანართი №2.

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №8.

6. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
7. სატენდერო წინადადება წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გათვალისწინებით თუ მის მის გარეშე;
8. კლასიფიკატორის დანაყოფი და მისი CPV კოდი;
9. შესყიდვის კონკრეტული შესაძლო ყველაზე დეტალური ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი;
10. ელექტრონული გარანტიის ოდენობა;
11. ელექტრონული გარანტიის მოქმედების მინიმალური ვადა;
12. შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომელმაც განათავსა სატენდერო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღი და დრო.

სატენდერო განცხადების შევსება და განთავსება ხდება სისტემის საშუალებით. წინადადებების მიღების დაწყებისა და წინადადებების მიღების დასრულების ვადის ათვლა იწყება სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებიდან.

რეგისტრირებული მომხმარებელი სისტემის საშუალებით ასახავს ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს, რაც მიუთითებს ტენდერის მიმდინარეობის სტატუსზე²⁰. ტენდერის ჩატარება არის გამარტივებული ელექტრონული ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედებათა ერთობლიობა. სისტემაში ჩანაწერი "ტენდერი გამოცხადებულია", მიუთითებს სტატუსზე, რომელიც მოიცავს სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებიდან სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს. მხოლოდ ამ ეტაპზე აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას მოახდინოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში (გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტისა) და შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაცია სისტემაში უკვე ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი დოკუმენტაცია ისევ ატვირთოს სისტემაში. "წინადადების მიღება დაწყებულია" არის სტატუსი, რომლის დროსაც მომწოდებელს უფლება აქვს წარადგინოს თავისი სატენდერო წინადადება და

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №2.

მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, ხოლო სტატუსი "წინადადების მიღება დასრულებულია" მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს ტენდერის შერჩევა/შეფასების სტატუსის მინიჭებამდე.

წინადადების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ²¹. წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ აღწერას. ასევე პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი ეროვნულ ვალუტაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ დაუშვებელია დოკუმენტაციის შეცვლა, დამატება, გაუქმება ან წაშლა. თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, მაშინ პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. ამ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შეფასება ხდება შერჩევა-შეფასების სტატუსის დროს²². ამის შემდეგ, თუ მომწოდებლის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს, ტენდერს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ ენიჭება სტატუსი "გამარჯვებული გამოვლენილია". მას შემდეგ, რაც დგება სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოდგენილი

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №10.

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №12.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან და მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები აიტვირთება სისტემაში, ტენდერს ენიჭება სტატუსი—"მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება". თუ შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ სისტემაში აიტვირთება მომწოდებელთან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და სისტემის აღნიშნულ ველში მიეთითება მომწოდებლის სახელწოდება, მივიღებთ სტატუსს—"ხელშეკრულება დადებულია". ტენდერს ენიჭება სტატუსი "დასრულებულია უარყოფითი შედეგით", თუ შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ სისტემაში აიტვირთება სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ ტენდერში მონაწილე ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მომწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა, მას ავტომატურად ენიჭება სტატუსი "ტენდერი არ შედგა". სტატუსი "ტენდერი შეწყვეტილია" შეიძლება მიენიჭოს ტენდერს მხოლოდ მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი პირი ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს, რომელშიც მოცემულია ტენდერის შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს კანონით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას კოორდინაციას, მონიტორინგსა და კონტროლს ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 5 ივნისის №223 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. მისი კანონიერი მოთხოვნა შესასრულებლად სავალდებულოა და არშესრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა²³. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ხოლო მის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

²³ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი №4.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ფინანსდება:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;

ბ) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი საფასურით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით;

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

გ) სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლო-მეთოდური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

დ) შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სრულყოფა და მასზე ზედამხედველობა;

ე) შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;

ვ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებათა შესყიდვების სისტემაში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;

ზ) შესყიდვების საჯაროობისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და სპეციალური სახელმძღვანელო ბიულეტენის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

თ) შესყიდვის დროს წარმოქმნილი დავის განხილვა;

ო) შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;

კ) შავი სიის წარმოება;

მ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველის წერილობითი მომართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოახდინოს შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება ან/და კლასიფიკატორში ინტეგრირება;

ნ) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეწყობა და ყოფის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს თავმჯდომარე და იგი კანონით დადგენილი წესით პასუხს აგებს სააგენტოს საქმიანობისათვის.

შემსყიდველ ორგანიზაციათა მოვალეობაა შესაბამისი ნორმატიული აქტებით დაგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მომწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, ასევე საჭირო შემთხვევაში მოახდინოს პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია²⁴:

ა) რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დაგენილი წესების დაცვით;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშები;

გ) საქონლის მოწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისათვის აუნაზღაუროს მომწოდებლებს საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების შესაბამისად.

²⁴ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 7.

შესყიდვის რაციონალური განხორციელებისათვის შესაბამისი კანონითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვით პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას²⁵:

ა) საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;

ბ) ამ კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვას;

გ) ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;

დ) მომწოდებლის შერჩევას.

ყველა პიროვნებამ, რომელიც შესყიდვის პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს წარმოადგენს (მისი ხელმძღვანელის, თანამშრომლებისა და კონსულტანტების ჩათვლით) თავიდან უნდა აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის ყველანაირი სიტუაცია ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების სახით. თუ აქ მითითებული რომელიმე პიროვნება ინტერესთა კონფლიქტის წინაშე დადგება, მან დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი მონაწილეობის მიღება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში. სახელმწიფო შესყიდვების ჩატარებისას პიროვნებას, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს წარმოადგენს, ექნება ინტერესთა კონფლიქტი, თუ ეს პირი:

ა) მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვაში;

ბ) არის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე რომელიმე ორგანიზაციის მფლობელი, აკონტროლებს მას ან არის მისი თანამშრომელი;

გ) არის შესყიდვის პროცედურაში მონაწილე ორგანიზაციის თანამშრომლის ან ხელმძღვანელი აპარატის წევრის ახლო ნათესავი ან უშუალო მონაწილის ნათესავი, თუ ეს უკანასკნელი ფიზიკური პირია (ახლო ნათესავში იგულისხმება: ოჯახის წევრი,

²⁵საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 8.

პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები;

დ) ბოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე;

ე) პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული ან მოლაპარაკებას აწარმოებს ასეთი კავშირების დამყარების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან;

ვ) შესყიდვის პროცედურის შედეგით პირადადაა დაინტერესებული (ან აქვს ფინანსური ინტერესი).

სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე განათავსებს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში²⁶. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება შესაძლებელია განთავსდეს ინგლისურ ენაზეც. თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი 4 000 000 ლარს, მაშინ ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განცხადების განთავსება ინგლისურ ენაზე სავალდებულოა.

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი, რომლის შემდეგაც სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ითვლება ოფიციალურად გამოქვეყნებულად²⁷. ამისათვის შემსყიდველი ორგანიზაცია იხდის გამოქვეყნების საფასურს. სატენდერო განცხადება დამატებით უნდა გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში" შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, რომელსაც უზრუნველყოფს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

²⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №8.

²⁷ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 12¹

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამოიყენოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გავრცელების სხვა დამატებითი საშუალებები.

სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;

ბ) შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მოწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;

გ) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს;

დ) ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ფორმაზე და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიაზე;

ე) მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა და სხვა);

ვ) სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ.

სატენდერო კომისია ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას განათავსებს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 20 დღისა. თუ სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, მაშინ სატენდერო წინადადებების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, გარდა შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტისა და სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებისა. ეს ცვლილებები უნდა განთავსდეს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი ანუ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს²⁸. ეს მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი, არადისკრიმინაციული და ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მათი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებიდან არანაკლებ 15 დღისა. ამ ვადის გასვლიდან 5 დღის განმავლობაში პრეტენდენტს უფლება აქვს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, წარმოადგინოს სატენდერო წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი.

ტენდერში გამარჯვებისათვის განმსაზღვრელი არის სატენდერო წინადადების დაბალი ფასი. თუ ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას, ან მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს. თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის

²⁸ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 13,

წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას აქვს ტენდერის შეწყვეტის უფლება.

სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ²⁹:

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ პრეტენდენტი არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ვ) თუ არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას ან უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას³⁰:

1) იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

²⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №13.

³⁰ www.procurement.gov.ge

ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

2) ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი უფლებამოსილი ორგანოდან;

გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან მასზე, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს დადგენილი წესის შესაბამისად და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით ან ნორმატიულად დამოწმებული ასლები მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. არარეზიდენტმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

სატენდერო კომისიას ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი სულ ცოტა სამი წევრის შემადგენლობით და მას თავმჯდომარეობს თვითონ ან მის მიერ დანიშნული პირი³¹. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ამ ორგანიზაციის თანამშრომლებისაგან იქმნება სატენდერო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №14.

უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა. სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შეუძლებელია.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში უნდა აიტვირთოს ხელმოწერიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა³². შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზეც. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უცხოურ ენაზე დადებული ხელშეკრულება უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე. ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და იგი უნდა შეიცავდეს:

1. მხარეთა ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს;
2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას, კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდს;
3. ხელშეკრულების ღირებულებას;
4. საქონლის მოწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;
5. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის პირობებს;
6. ხელშეკრულების მოქმედების ვადას;
7. სატენდერო განცხადების ნომერს.

ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ შეიძლება, თუ ამ ცვლილებით იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება შემსყიდველი

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №19.

ორგანიზაციისათვის ხელშეკრულების პირობები³³. ნებისმიერი ცვლილება დადებულ ხელშეკრულებაში უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ცვლილების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

შემსყიდველი ორგანიზაცია თანამშრომლის ან თანამშრომელთა ჯგუფის საშუალებით ახდენს დადებული ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს და ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრა ეკისრება მომწოდებელს.

თუ მომწოდებელი სისტემის ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ ახერხებს სატენდერო წინადადების წარდგენას, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით.

1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეცენტრალიზებული მართვის სისტემის ანალიზი

საქართველოს კანონით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას, მონიტორინგსა და კონტროლს ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო – თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 5 ივნისის №223 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. მისი კანონიერი მოთხოვნა შესასრულებლად სავალდებულოა და შეუსრულებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საჯაროობისა და საზოგადოებრივი მონიტორინგისათვის შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო

³³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №20.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლობის მონაწილეობით, რომელიც ფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დეცენტრალიზებულია და შესყიდვების განხორციელებაზე უფლებამოსილია სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მართლზომიერებაზე³⁴. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების თანახმად ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია: რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით; შესყიდვები განახორციელოს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით, ასევე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და შესაბამისი ფორმით წარუდგინოს სააგენტოს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები; სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების დამტკიცების არაუგვიანეს 20 დღის ვადისა და დამტკიცოს სახელმწიფო შესყიდვების დაზუსტებული გეგმა და წარუდგინოს იგი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს; თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 5000 ლარს, სახელმწიფო შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების დასრულებისთანავე აცნობოს შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს; ყოველი საფინანსო წლის დამთავრების შემდეგ შეადგინოს გასულ წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წლიური ანგარიში სათანადო ფორმით და წარუდგინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 თებერვლისა; ყოველთვიურად მიაწოდოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სტატისტიკური ანგარიში.

საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციაა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

³⁴ www.nergebi.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის განხორციელებისათვის საფინანსო დეპარტამენტის შემადგენლობაში შექმნილია შესყიდვების განყოფილება, რომლის ძირითადი ფუნქციებია³⁵:

ა) თსუ-ში შესყიდვების პროცედურების წარმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება, დაფინანსების წყაროების მიხედვით და შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარდგენა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში;

გ) შესყიდვების წინამოსამზადებელი სამუშაოების უზრუნველყოფა, შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნებისა და მონეტარული ზღვრების დადგენა, შესყიდვის მეთოდის შერჩევა;

დ) სატენდერო პროცედურების მომზადების უზრუნველყოფა;

ე) კვარტალური ანგარიშების შედგენა და შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით მომწოდებლების შერჩევა და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის მომზადების უზრუნველყოფა;

ზ) მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელება განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში;

თ) სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სრულყოფისა და უკეთ წარმართვის მიზნით შესაბამის სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელიც:

1. კოორდინაციას უწევს შესყიდვების განყოფილების საქმიანობას, ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და ერთდროულ დავალებებს;

³⁵ http://www.tsu.edu.ge/ge/departments/financial/nekvgdxh996yv7_n/nias37pix6qr3_tc

2. ორგანიზებას უწევს დაფინანსების წყაროების მიხედვით თსუ შესყიდვების გეგმის შედგენისა და კორექტირების პროცესს;

3. განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვის პროცესს: მონეტარული ზღვრების დადგენას, შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენას, შესყიდვის მეთოდის შერჩევას;

4. ორგანიზებას უწევს კვარტალური და ხელშეკრულებების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესს;

5. უზრუნველყოფს სატენდერო პროცედურების წარმართვას და კონტროლს უწევს მომზადებული და წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის პროცესს;

6. მონაწილეობს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით მომწოდებლების შერჩევაში და უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადებას;

7. ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან საქმიან მიმოწერას;

8. ახორციელებს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში და თანამშრომლობს თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან და ინსპექტირების ჯგუფთან;

9. ორგანიზებას უწევს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადებთან დაკავშირებით "დამატებითი შეთანხმებების" შედგენას;

10. მონაწილეობს სატენდერო და უნივერსიტეტის სხვა კომისიების მუშაობაში.

2005 წლიდან უნივერსიტეტში დაიწყო ძირეული რეფორმები და რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა 6 ფაკულტეტი³⁶: ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და მედიცინის ფაკულტეტები.

ამავე წლიდან თსუ ჩაერთო ბოლონის პროცესში, ხოლო 2007 წელს მიიღო აკრედიტაცია ხუთი წლის ვადით. 2008 წლიდან უნივერსიტეტი ახალი წესდებით მუშაობს.

უნივერსიტეტის სტრუქტურა შედგება უნივერსიტეტის რექტორის და აკადემიური საბჭოს აპარატის, რექტორის მრჩეველთა საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, უნივერსიტეტის

³⁶ www.tsu.edu.ge

ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების (ადმინისტრაცია), უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულებისაგან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლისა და პროფესიული განვითარების საქმეს ემსახურება 13 სასწავლო კორპუსი, სტუდენტთა, საქართველოში ყველაზე მდიდარი და მრავალრიცხოვანი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ექვსი რესურსცენტრი, გამომცემლობა, კულტურისა და სპორტის ცენტრი, მუზეუმი, გაზეთი. სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, თვითმმართველობისა თუ სამეცნიერო საზოგადოებების მეშვეობით, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სფეროში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პერსონალის მართვის დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით აქვს შემდეგი სტრუქტურა (იხ. სქემა №1.2.1):

სქემა №1.2.1 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა

ტენდერის მოსამზადებელი სამუშაოები რეგულირდება თსუ შინაგანაწესით და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით³⁷. მოსამზადებელი სამუშაოები ძირითადად იწყება თსუ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, თსუ შესყიდვების გეგმის შედგენით. შესყიდვების გეგმის პროექტი დგება საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების მიერ, სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე, თსუ ბიუჯეტში საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. საფინანსო დეპარტამენტი, წარმოდგენილი წინადადებების და მოქმედი კლასიფიკატორის საფუძველზე, განსაზღვრავს შესყიდვის საშუალებებს (ფორმებს). შესყიდვების გეგმას ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დამტკიცებული გეგმა წარედგინება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. ამის შემდეგ ყველა შესყიდვა ხორციელდება შესყიდვების გეგმის ფარგლებში. დამტკიცებული გეგმის ზემოთ მოთხოვნილი ნებისმიერი შესყიდვა განიხილება, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და საჭიროებს ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებას. ამდენად, ნებისმიერმა სტრუქტურულმა ერთეულმა შესყიდვების გეგმაში ასასახად უნდა წარმოადგინოს მთელი წლის განმავლობაში მისი დაუბრკოლებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო შესყიდვების დროში და მოცულობებში დეტალურად გაწერილი ყველა წინადადება. კონკრეტული შესყიდვებისათვის ტენდერს ამზადებს საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილება, შემსყიდველი სტრუქტურული ერთეულის განაცხადის საფუძველზე. განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, შესასყიდი ობიექტის ტექნიკურ დავალებასთან და სავარაუდო ფასთან ერთად, ელექტრონული ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განხორციელებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით, ტენდერის გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე. ტექნიკური დავალება წარმოადგენს შესასყიდი ობიექტისადმი წაყენებული მოთხოვნების სრულ აღწერილობას, სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მინიშნების გარეშე. ტექნიკური დავალების დამუშავება და სავარაუდო ფასის დადგენა შემსყიდველმა სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა განახორციელოს თსუ შესაბამისი პროფილური

³⁷ www.tsu.edu.ge

სამსახურების ან მოწვეული კვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით. ანალოგიური სქემით ხორციელდება შესყიდვები საგრანტო დაფინანსებით განხორციელებული პროექტებისათვის.

ამრიგად, საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესყიდვების ტექნიკური დავალების შედგენაზე, მის დროულად და სრულად წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება პროფილურ სტრუქტურულ ქვედანაყოფს და სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელს. ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაციის მომზადებაზე, ტენდერის გამოცხადებაზე, მის სწორად წარმართვასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელია საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილება. მონიტორინგს ხელშეკრულების შესრულებაზე ახორციელებს ინსპექტორების ჯგუფი. შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას და მის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში წარმართვას უზრუნველყოფს სატენდერო კომისია და კომისიის აპარატი.

შესყიდვების მონეტარულ ზღვრებში იგულისხმება თსუ-ს შემადგენლობაში მყოფი ყველა სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების საერთო ღირებულება. ასევე ჯამდება საგრანტო პროექტების (ეროვნული, საერთაშორისო) ღირებულებაც, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ყველა შესყიდვაზე საჭირო იქნება ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

ტენდერის გამოსაცხადებლად კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე უნდა აიტვირთოს განცხადება შემდეგი თანმიმდევრობით³⁸: ტენდერის ტიპი, სატენდერო განცხადების ნომერი, ტენდერის მიმდინარეობის სტატუსი, შემსყიდველი, ტენდერის გამოცხადების თარიღი და დრო, წინადადების მიღების დაწყებისა და დამთავრების თარიღი და დრო, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, სატენდერო წინადადება წარმოდგენილია თუ არა დღგ-ს ჩათვლით ან მის გარეშე, კლასიფიკატორის (CPV) კოდები, შესყიდვის რაოდენობის ან მოცულობის შესახებ სატენდერო ინფორმაცია, მოწოდების ვადები, შეთავაზების ფასის კლების ბიჯი, გარანტიის ოდენობა, გარანტიის მოქმედების ვადა, განცხადების ჩაწერის დრო, რიცხვი და ჩამწერის ვინაობა.

განცხადების შემდეგ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ უნდა აიტვირთოს სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს იმ მოთხოვნებს, რომელსაც შემსყიდველი უყენებს პრეტენდენტს. ასევე სპეციალური

³⁸ www.spa.ge

ცხრილის სახით მოცემული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რომელშიც არ მიეთითება მწარმოებელი ქვეყანა და მარკა. მიეთითება მხოლოდ წინადადების სავარაუდო ღირებულება და საგარანტიო ვადა. ხშირად მას ფასების ცხრილსაც უწოდებენ. ასევე ხელშეკრულების პროექტი, საბანკო გარანტიისა და აფიდავიტის ნიმუშები:

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი, ხელშეკრულება №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად, თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

2013 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით და, მეორე მხრივ, ----- შემდგომში ("მომწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მომწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები" – მომწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრები დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. გარანტია

2.1. შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების მინიმალური საგარანტიო ვადა განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

2.2.1. დანართი №1-ის №1;2;3;4 პუნქტების შესაბამისად მოწოდებულ საქონელზე სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება დანართ №1-ში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) აღმოფხვრას, ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები (წუნი), გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

2.2.2. იმ შემთხვევაში, თუ დანართი №1-ის №5 პუნქტის შესაბამისად მოწოდებულ საქონელში გამოვლენილი იქნება წუნი (ხარვეზი), მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნის აღმოფხვრა გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის კომპიუტერული მოწყობილობებისა და მარაგების შესყიდვა (CPV32420000).

3.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები მოცემულია დანართი №1-ის ფასების ცხრილის სახით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს -----
ლარს. 4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მომწოდებლის ყველა ხარჯს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა, ადგილი და პირობები

5.1. მომწოდებელი შესყიდვის ობიექტის მოწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1.

5.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღის განმავლობაში, ეტაპობრივად, შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შემსყიდველი და მომწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მოწოდების პირობებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები;

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მომწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებისაგან.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება იწარმოებს დანართ №1-ში მოცემული პირობების თანახმად, მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2. მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1. მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების შუალედური აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიადგება შემსყიდველს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მომწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 11.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დადების თარიღიდან და მოქმედებს -----წლის----- ამდე.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება – "მომწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები

(შემსყიდველი)

(მომწოდებელი)

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

(მომწოდებლის დასახელება)

შემდგომში “მომწოდებელმა” _____ ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება, წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მომწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მომწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

(თანხა ციფრებით)

(თანხა სიტყვებით)

და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე.

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

(თარიღი)

(მისამართი)

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსახდერის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი “კონკურენტი”, აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

სატენდერო წინადადების ფასი

- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისაგან თავის შეკავება;

- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;

- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მოწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

- სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების გახმოვანების მომენტამდე;

- გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი

ინფორმაციის უტყუარობას.

1.3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზაციის თავისებურებები

სახელმწიფო შესყიდვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა შემდეგი სახსრებით³⁹:

საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის, ასევე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი იმ საწარმოს სახრებით, რომლის აქციათა ან წილის 50 %-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს.

საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ამ კანონის შესაბამისად.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვას

³⁹ საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 2005 წლის 20 აპრილი, მუხლი 2.

რეგენტთა საბჭოს თანხმობით. ასეთ შემთხვევაში რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული მიმართვის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ელექტრონული საშუალებით შესყიდვების განხორციელება მაქსიმალურად ზღუდავს დაუგეგმავ და წინასწარ გაუთვალისწინებელ შესყიდვებს. დაუგეგმავი შესყიდვა განიხილება როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და საჭიროებს შეთანხმებას ზემდგომ ორგანოებთან.

საქართველოში ამჟამად სახელმწიფოს მიერ აღიარებული (ინსტიტუციურად აკრედიტირებული და/ან ახლად ლიცენზირებული) 57 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. მათგან 20 სახელმწიფო და 37 კერძო სასწავლებელია⁴⁰.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ასეთი ტიპისაა:

1. უნივერსიტეტი – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
2. სასწავლო უნივერსიტეტი – საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
3. კოლეჯი – საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული პროგრამები.

	სახელმწიფო	კერძო
უნივერსიტეტი	12	13
სასწავლო უნივერსიტეტი	6	21
კოლეჯი	2	3
სულ	20	37

აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების 64% მდებარეობს დედაქალაქში.

აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში სამივე საფეხურზე, უმაღლეს პროფესიულ და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე სწავლობს 99 003 სტუდენტი (2012 წლის თებერვლის მონაცემები).

სტუდენტების რაოდენობა სწავლების საფეხურების მიხედვით:

	BA	უმაღლესი პროფესიული	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	MA	PHD	სულ
ჯამი	75 820	4 525	7 398	8 452	2 808	99 003
% მთლიანი რაოდენობიდან	76.6	4.57	7.47	8.54	2.84	100

⁴⁰ <http://www.tempus.ge/>-ქართული უნივერსიტეტი

გთავაზობთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სიას.

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

უნივერსიტეტები

- ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო უნივერსიტეტები

- გორის სასწავლო უნივერსიტეტი
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

კოლეჯები

- ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯი
- ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი

კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

უნივერსიტეტები

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
- ქუთაისის უნივერსიტეტი
- თავისუფალი უნივერსიტეტი
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი

- კავკასიის უნივერსიტეტი
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- აიბი ევროკავკასიური უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სასწავლო უნივერსიტეტები

- ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი
- პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
- სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედი"
- სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
- თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
- სასწავლო უნივერსიტეტი "რვალი"
- თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი "ჰიპოკრატე"
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი "გორგასალი"
- საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო უნივერსიტეტი
- საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო უნივერსიტეტი
- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
- ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი
- გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
- ილია-ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
- სასწავლო უნივერსიტეტი "ივერია"
- ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი
- თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

კოლეჯები

- რუსთავის კოლეჯი
- საზღვაო სასწავლო ცენტრი "ანრი"
- საქართველოს ილია-ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "საზოგადოება ცოდნა".

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო შესყიდვები ტარდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიურად, ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ უფლება შესყიდვები განახორციელონ თვითონ ზემოთხსენებული სისტემის გარეშე პირდაპირი შესყიდვით.

განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების კიდევ ერთი მაგალითი – შპს "საქართველოს რკინიგზა"-ში ელექტრონული ტენდერების ჩატარების პროცედურები. შპს "საქართველოს რკინიგზა" რკინიგზის მონოპოლური ოპერატორია საქართველოში⁴¹. მისი ძირითადი საქმიანობა არის ტვირთების გადაზიდვა, რომელიც მოგების 90%-ს შეადგენს. საქართველოს რკინიგზის სტრუქტურა შედგება 3 სტრატეგიული ბიზნეს ერთეულისაგან: სატვირთო გადაზიდვა, სამგზავრო გადაზიდვა და ინფრასტრუქტურა, ასევე რამდენიმე ფილიალისაგან. საქართველოს რკინიგზა 100 %-ით სახელმწიფო მფლობელობაშია. ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. პირველი რკინიგზა საქართველოში 1871 წელს გაიხსნა. 1890 წელს, როდესაც უღელტეხილის მონაკვეთმა ფუნქციონირება დაიწყო, საქართველოს რკინიგზა კავკასიაში ნავთობის გადასაზიდი გზის ნაწილი გახდა. 1992 წელს დასრულდა საქართველოს რკინიგზის ტრანსკავკასიური რკინიგზისაგან გამოყოფა და უკვე მიიღო სესხი რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკისაგან (EBRD). 2005-2006 წლებში დაიწყო საქართველოს რკინიგზის რეკონსტრუქციის პროცესი და დაარსდა თავისი პირველი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული – სამგზავრო გადაყვანების ფილიალი. 2008 წელს "საქართველოს რკინიგზა"-მ მიიღო პირველი აუდიტორული შეფასება შენიშვნების გარეშე.

ამჟამად "საქართველოს რკინიგზა"-ს 4 მასშტაბური პროექტი აქვს. EBRD – ის მიერ დაფინანსებული თბილისის შემოვლითი გზის პროექტი უკვე განხორციელების პროცესშია. მისი ღირებულება 300 000 მილიონ შვეიცარიულ ფრანკზე მეტს შეადგენს.

ტენდერში მონაწილეთათვის "საქართველოს რკინიგზა"-ს აქვს შემდეგი ინსტრუქცია:

ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით⁴². ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისთანავე პრეტენდენტს აქვს საშუალება, გაეცნოს სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის მომწოდებელი უნდა დარეგისტრირდეს სისტემაში, გაეცნოს აფიდავიტს და ელექტრონულად შესაბამის დილაკზე დაჭერით დაეთანხმოს მას. ამის შემდეგ პრეტენდენტი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო

⁴¹ <http://www.railway.ge/>

⁴² Spa.ge-spa120012500-ის მიხედვით

წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ბანკიდან, რომელსაც მოყვება გარანტიის უნიკალური ერთჯერადი გამოყენების კოდი, რომელიც შეყვანილი უნდა იქნეს სისტემის შესაბამის სამუშაო ველში ან/და, საგარანტიო თანხის დაბლოკვის მიზნით, პრეტენდენტის ბიზნეს ბარათის გამოყენებით მისი დროებით განთავსება სააგენტოს სპეციალურ ანგარიშზე. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის შემდეგ სისტემა იძლევა საშუალებას პრეტენდენტმა გადაიხადოს საფასური. ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გარეშე სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით. ზემოთ აღნიშნული ქმედებების გარეშე პრეტენდენტს არ ეძლევა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა იქნეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ტენდერში მონაწილეობის საფასური 50 ლარია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე ან/და პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში ან/და ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გარდა, არის ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებლად უნდა აიტვირთოს სისტემაში სატენდერო წინადადების საფასურის გადახდის შემდეგ. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა, მიუთითოს სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის (ტრანსპორტირება, დაზღვევა და სხვა) გათვალისწინებით დღგ-ს გარეშე. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე პრეტენდენტს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად. სატენდერო განცხადების შესაბამის ველში მითითებულია ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა-ბიჯი, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტი ცვლის მის მიერ მითითებულ ფასს კლებაობის პრინციპის მიხედვით. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს 2 წუთის განმავლობაში შეუძლია მხოლოდ ერთხელ შეამციროს

წინადადების ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და ძალაში რჩება პრეტენდენტის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობენ მხოლოდ ის პრეტენდენტები, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ასევე, ყოველ მომდევნო რაუნდში ბოლო შეთავაზებას, აკეთებს წინა რაუნდის ყველაზე დაბალი ფასის დამაფიქსირებელი. წინადადებების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი. დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით და შემსყიდველი ორგანიზაცია ამოწმებს ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკურ დოკუმენტაციას. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაშინ შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც მათ განესაზღვრებათ არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრეტენდენტის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენა ხდება სისტემის გამოყენების გარეშე. პრეტენდენტის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობა ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა მოთხოვნილი ეტაპი და არ იქნა დისკვალიფიცირებული, ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, შემსყიდველი ორგანიზაცია დებს მასთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია განუსაზღვრავს მას 3 (სამი) სამუშაო დღეს ტექნიკური დოკუმენტაციის დასაზუსტებლად, ოღონდ დაზუსტებამ არ უნდა შეცვალოს ფასი და არ უნდა გამოიწვიოს ამ დოკუმენტაციის არსებითი ცვლილება. ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტს ეძლევა დისკვალიფიკაცია. ყველაზე დაბალი ფასის

მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს და იმეორებს იგივე პროცედურებს. თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი, ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

შემსყიდველი ორგანიზაცია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას⁴³:

1. თუ მის
მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
2. თუ იგი
დადგენილ ვადაში არ დააზუსტებს ტექნიკური დოკუმენტაციას;
3. თუ
პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე.
4. პრეტენ
დენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
5. იგი არ
წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს;
6. ტენდე
რში გამარჯვებული არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, უარს განაცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
7. ხელშე
კრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

⁴³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი 13.

ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიეთითება:

შესყიდვის ობიექტი და შესყიდვის ობიექტის საგარაუდო ღირებულება დღგ-ს გარეშე; სახელმწიფო შესყიდვების დაფინანსების წყარო; სატენდერო კომისიის შემადგენლობა; სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა.

ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე; პრეტენდენტისგან წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება; სამუშაოს შესრულების ადგილი; სამუშაოს შესრულების ვადა; ანგარიშსწორების ფორმა; პრეტენდენტის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ შესაძლებელი უნდა გახდეს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება და მომწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს პროექტის სრულფასოვან და ზუსტ შესრულებაზე; ხელშეკრულება გამარჯვებულთან ფორმდება აშშ დოლარში ელექტრონული ვაჭრობის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით; აფიდავიტზე დათანხმების შემდეგ პრეტენდენტმა, სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი ელექტრონული გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს წინამდებარე ელექტრონულ ტენდერზე წინადადების მიღების დაწყების თარიღიდან არანაკლებ 60 კალენდარული დღე; ამ ეტაპის შემდეგ პრეტენდენტი ელექტრონულად იხდის ტენდერში მონაწილეობის საფასურს (50 ლარი) და სისტემაში ატვირთავს ტექნიკურ დოკუმენტაციას; ტექნიკური დოკუმენტაციის სახით პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა შეიცავდეს⁴⁴ შემდეგ მონაცემებს:

ცხრილი №1.3.1

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	

⁴⁴ Spa.ge- spa120012500-ის სატენდერო დოკუმენტაცია.

5	პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ა.შ.	
8	სამუშაოს შესრულების ვადა ხელშეკრულების მიხედვით	
9	პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების ფორმა	
10	თანხმობა იმის შესახებ რომ გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებამდე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად	
11	თანხმობა იმის შესახებ, რომ ანგარიშსწორებისას, ავანსის გამოყენების შემთხვევაში, მომწოდებელი წარმოადგენს საბანკო გარანტიას სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად	

აღნიშნული დანართი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ, ასევე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი უნდა იყოს მოცულობათა უწყისის შესაბამისად შედგენილი შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა, პრეტენდენტის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ცნობა მხოლოდ თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით დამოწმებული საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას. ასევე ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ფასის შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ; ანგარიშსწორების დროს, ავანსის გამოყენების შემთხვევაში, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია აშშ დოლარში საავანსო თანხის სრულ ოდენობაზე.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა: კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის დადებითი შედეგია ის, რომ სატენდერო წინადადების მიღების საწყის ეტაპზე აღარ არის სავალდებულო მონაწილეების მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან (სავადასახადო ორგანოები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სასამართლო და სხვა) შესაბამისი ცნობების წარდგენა.

აღნიშნული ცნობების (საკვალიფიკაციო მონაცემების) წარდგენის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ პრეტენდენტს, რომელთანაც უნდა დაიდოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტის შეფასებისას უპირატესობის მინიჭება ხდება მხოლოდ ობიექტური და თვლადი კრიტერიუმის – ფასის მიხედვით, სხვა დანარჩენი კრიტერიუმები (ხარისხი, მოწოდების ვადა, გამოცდილება, გარანტია და სხვა) უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს. ამ მახასიათებლების მიმართ კრიტერიუმები კი არ გაუქმდა, არამედ შეიცვალა შეფასების წესი – პლუსი/მინუსი ქულების მაგივრად.

ჩვენი აზრით, სისტემის ნაკლოვანებაა ის, რომ სწორედ ფასი არ უნდა წარმოადგენდეს შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს და ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვა კომპონენტებზეც.

თავი II. სახელმწიფო შესყიდვების მართვაში ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო ინფორმაციული უზრუნველყოფის შემუშავება

2.1. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით ტენდერების ჩატარებისთვის სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზაციის დებულების შემუშავება

წინამდებარე დებულებით განისაზღვრება შესყიდვების სამსახურის ამოცანები, ფუნქციები, სტრუქტურა.

1. შესყიდვების სამსახური ანგარიშვალდებულია ორგანიზაციის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის წინაშე და ასრულებს მის უშუალო მითითებებსა და დავალებებს.

2. შესყიდვების სამსახურს ხელმძღვანელობს შესყიდვების სამსახურის უფროსი, რომელსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. შესყიდვების სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და მოვალეობის შესრულების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

4. შესყიდვების სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების

წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

შესყიდვების სამსახურის მიზნები და ამოცანები⁴⁵.

1. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება კანონმდებლობის შესაბამისად;
2. სამსახურის სტრუქტურა – თავისი ამოცანების ეფექტურად შესასრულებლად და ფუნქციების ეფექტურად გადანაწილების მიზნით სამსახური შედგება შემდეგი თანამშრომლებისაგან⁴⁶:

1. სამსახურის უფროსი;
2. მთავარი სპეციალისტი;
3. უფროსი სპეციალისტი;
4. სპეციალისტი.

სამსახურის უფროსი:

კოორდინაციას უწევს შესყიდვების განყოფილების საქმიანობას, ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და ერთდროულ დავალებებს;

ორგანიზებას უწევს, დაფინანსების წყაროების მიხედვით, თსუ შესყიდვების გეგმის შედგენის და კორექტირების პროცესს;

განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვის პროცესს – მონეტარული ზღვრების დადგენას, შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენას, შესყიდვის მეთოდის შერჩევას;

ორგანიზებას უწევს კვარტალური და ხელშეკრულებების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესს;

უზრუნველყოფს სატენდერო პროცედურების წარმართვას და კონტროლს უწევს მომზადებული და წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის პროცესს;

შემოსული წერილების საფუძველზე უზრუნველყოფს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებების მომზადებას;

⁴⁵ <http://scribd.com/doc/83920584>

⁴⁶ www.tsu.edu.ge

მონაწილეობს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით მომწოდებლების შერჩევაში და უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადებას;

ახორციელებს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან საქმიან მიმოწერას; ახორციელებს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში და თანამშრომლობს თსუ იურიდიულ დეპარტამენტთან და ინსპექტირების ჯგუფთან;

ორგანიზებას უწევს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადებთან დაკავშირებით „დამატებითი შეთანხმებების“ შედგენას; ორგანიზებას უწევს წერილობითი ნებართვების მოპოვების პროცესს მრავალწლიანი და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ შესყიდვებზე; მონაწილეობს სატენდერო და უნივერსიტეტის სხვა კომისიების მუშაობაში.

მთავარი სპეციალისტი:

დაფინანსების წყაროების მიხედვით ადგენს თსუ შესყიდვების გეგმის პროექტს;

დაფინანსების წყაროების მიხედვით ადგენს თსუ შესყიდვების გეგმის კორექტირებულ გეგმას;

მონაწილეობს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვის პროცესში – მონეტარული ზღვრების დადგენა, შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენა, შესყიდვის მეთოდის შერჩევა;

საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს ხელშეკრულებების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცესში;

თანამშრომლობს სატენდერო კომისიასთან სატენდერო კომისიის აპარატის წევრის კომპეტენციის ფარგლებში – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს სატენდერო დოკუმენტაციას, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას, ადგენს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს, გასცემს და იბარებს სატენდერო დოკუმენტაციას;

მონაწილეობს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის პროცესში, ტენდერის შედეგების შესახებ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წერილობით ინფორმაციას ამზადებს და აწვდის პრეტენდენტებს;

ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ ამზადებს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს;

ტენდერის შედეგების მიხედვით ამზადებს ოპერატიულ ანგარიშს და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარუდგენს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას ტენდერის შედეგებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ გაზეთში „24 საათი“.

შემოსული წერილების საფუძველზე უზრუნველყოფს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებების მომზადებას;

მონაწილეობს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით მომწოდებლების შერჩევაში და უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში;

მონაწილეობს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის პროცესში და თანამშრომლობს თსუ ინსპექტირების ჯგუფთან;

ორგანიზებას უწევს წერილობითი ნებართვების მოპოვების პროცესს მრავალწლიანი და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ შესყიდვებზე.

უფროსი სპეციალისტი:

მონაწილეობს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვის პროცესში – მონეტარული ზღვრების დადგენა, შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების დადგენა, შესყიდვის მეთოდის შერჩევა;

თანამშრომლობს სატენდერო კომისიასთან სატენდერო კომისიის აპარატის წევრის კომპეტენციის ფარგლებში – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამზადებს სატენდერო დოკუმენტაციას, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას, ადგენს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს, გასცემს და იბარებს სატენდერო დოკუმენტაციას;

მონაწილეობს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის პროცესში;

თსუ დაფინანსების წყაროების მიხედვით ადგენს ყოველკვარტალურ ანგარიშებს და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარუდგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

კოორდინაციას უწევს და ამზადებს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული შესყიდვების ხელშეკრულებების ასლების მომზადებას;

თანამშრომლობს თსუ ინსპექტირების ჯგუფთან და სისტემატურ ინფორმაციას აწვდის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელშეკრულებების მიმდინარეობის შესახებ;

შემოსული წერილების საფუძველზე უზრუნველყოფს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებების მომზადებას;

აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებულ შესყიდვებზე აწარმოებს საკასო მონაცემების მოგროვებას და კონტროლს უწევს მონეტარული ზღვრებს.

სპეციალისტი:

მონაწილეობს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვის პროცესში – ინვოისის საფუძველზე ადგენს მომწოდებლის რეკვიზიტებს, მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის სახეობას, რაოდენობასა და ფასს;

შემოსული წერილების საფუძველზე, დაფინანსების წყაროების მიხედვით ამზადებს ერთ პირთან მოლაპარაკებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებს;

შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ამზადებს მიღება-ჩაბარების აქტებს;

საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს თსუ ინსპექტირების ჯგუფთან – შესყიდვის ობიექტის პარამეტრების დადგენის მიზნით და დასკვნის წარმოსადგენად უზრუნველყოფს ინსპექტირების ჯგუფისთვის ხელშეკრულების ასლისა და სხვა მონაცემების გადაცემას;

კონტროლს უწევს ე.წ. „ჩარჩო“ ხელშეკრულებების მიმდინარეობის პროცესს, ახდენს შუალედური მიღება – ჩაბარების აქტების კოორდინაციას;

ამზადებს და გადასარიცხად გადასცემს შესაბამის დოკუმენტაციას აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებას.

შესყიდვების სამსახურის ფუნქციები:

1. სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება;
2. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება და ცალკეული შესასყიდი ობიექტის წლიური ღირებულებიდან გამომდინარე შესყიდვის ფორმის განსაზღვრა;
3. ტენდერის გამოცხადების ორგანიზება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, მომწოდებელთან ხელშეკრულების დადება და დადებული ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
4. წლის განმავლობაში შესყიდვების მოსამზადებელი პროცედურების ჩატარება, ფასთა მონიტორინგი, სავარაუდო ფასებისა და მოცულობების განსაზღვრა, შესყიდვის მეთოდის შერჩევა, სატენდერო და სხვა საკონკურსო დოკუმენტაციებისა და პროცედურების ტექნიკური უზრუნველყოფა;
5. სატენდერო და სხვა საკონკურსო დოკუმენტაციის აღრიცხვა; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შეთანხმება;

6. შესყიდვების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულების მომზადება, შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;
7. სახელმწიფო შესყიდვების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშების დადგენილი წესით წარდგენა.

2.2. დამკვეთი (შემსყიდველი) ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგალების შემუშავება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად მიმდინარე ელექტრონულ ტენდერებში უმთავრესი არის ფასი. ჩვენი აზრით, იგი არ უნდა წარმოადგენდეს შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს და ყურადღება უნდა გამახვილდეს ხარისხზეც და, საჭიროების შემთხვევებში, სხვა კომპონენტებზეც. ე.წ. შავ სიაში არსებულმა კომპანიებმა საერთოდ ვერ უნდა წარმოადგინონ წინადადება, მოსაგვარებელი ბანკებთან ურთიერთობა (დაგვიანება, თანხის დაბრუნება), საკონკურსო განაცხადისათვის საჭიროა უფრო მსუბუქი ფორმის მომზადება, არშემდგარი ტენდერები, რამდენჯერმე ჩაშლის შემდეგ, გამარტივებული წესით უნდა ჩატარდეს, არაერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტებზე ერთი ტენდერი უნდა გამოცხადდეს.

როგორც ცნობილია, ტენდერით განხორციელებული შესყიდვა საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომლისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები ძირითადად იწყება ორგანიზაციის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ შესყიდვების გეგმის შედგენით. შესყიდვების გეგმის პროექტი დგება საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების მიერ სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე, ბიუჯეტში საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ჩვენ მიერ შემუშავებული ელექტრონული შესყიდვების მეთოდი უზრუნველყოფს საკმარის გამჭვირვალობას, ტენდერის ჩატარებისას გამარჯვებულის (გამარჯვებულების) გამოვლენისას ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვას ანუ გამორიცხავს არასწორი სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

შემსყიდველ ორგანიზაციებსა და საწარმოებში ტენდერის ჩასატარებლად ინფორმაციის დროული და ხარისხიანი მომზადება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტენდერის ჩატარების ხარისხზე. გამომდინარე აქედან, ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა:

1. შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესაძენად საჭირო განაცხადის ელექტრონული ფორმა (**ფორმა-1ტდ**), მისი შევსებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების განყოფილებაში გადაცემის მეთოდიკა;

2. შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი და მისი გამოყენების ინსტრუქცია;

3. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა **Access 2007-ის** საფუძველზე განაცხადების მონაცემთა ბაზა, რომელიც აუცილებელია სატენდერო დავალების შესადგენად;

4. შემსყიდველი ორგანიზაციის (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შესყიდვების განყოფილების ვებ-გვერდი.

ფორმა-1ტდ (ცხრ. №2.2.1) წარმოადგენს **Access-ის** ცხრილს და იგი შევსებულ უნდა იქნეს მკაცრი თანმიმდევრობით. ფორმა-1ტდ ანუ **Request** წარმოადგენს მონაცემთა ბაზის "მატერიალურ-ტექნიკური რესურსები"-ს საბაზო ცხრილს, რომელიც ივსება ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მითითებით ვებ-გვერდზე განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მაგალითზე) სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის შემუშავებული კლასიფიკატორის შესაბამისად შექმნილი სტრუქტურული ერთეულების (როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ისე ფაკულტეტების მიხედვით) ახალი კოდები და მისით სარგებლობის ინსტრუქცია განთავსებულია ვებ-გვერდზე.

ცხრილი №2.2.1

სტრუქტურული ერთეულის დასახელება-----

№	კლასი	ქვეკლასი	მარკა	ხომის ერთეული	რაოდენობა	არჩეულია შესაძენად	უკვე შეძენილია	ქვედანაყოფი	მომთხოვნი	მთხოვნის თარიღი	პასუხისმგებელი პირი	უკ	დირექტორის დასახელება	მთხოვნის თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15


ფორმა-1ტდ-ის შევსებისათვის აუცილებელია ვისარგებლოთ ვებ-გვერდზე განთავსებული **CPV** კოდებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №7 ბრძანებით 2010 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესით. ესაა საერთაშორისო

ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორი. ევროკავშირის **EC N213/2008** დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ცნობარი (**Common Procurement Vocabulary-CPV**), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.


შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები იდენტურია, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტებია, რაც დადგენილია წესის შესაბამისად.

კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებული დონეა დანაყოფი, რომელიც შედგება ჯგუფებისაგან, ჯგუფები, თავის მხრივ, შედგება კლასებისაგან, ხოლო კლასები – კატეგორიებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისაგან, ანუ ობიექტისაგან (ნახ. 2.2.1). გარდა ამისა შემუშავებული იქნა თსუ-ის სტრუქტურული ქვეგანყოფილების კლასიფიკატორი (ნახ. 2.2.2). უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვეგანყოფილების კოდი აგებულია ოთხნიშნა პოზიციური სისტემით, რომლის ორი თანრიგი მარცხნიდან გამოხატავს უნივერსიტეტის მსხვილი (რექტორატი, ფაკულტეტი, ინსტიტუტი და ა. შ.) განყოფილების შიფრს, ბოლო ორი თანრიგი კი – მათში შემავალ ქვეგანყოფილებებს (კათედრა, ხარისხის მართვის სამსახური, ლაბორატორია და ა. შ.)

XXX X X X XX



ნახ. 2.2.1. საქონლის ერთიანი კლასიფიკატორის სტრუქტურა




ნახ. 2.2.2. თსუ სტრუქტურული ქვეგანყოფილებების კლასიფიკატორის სტრუქტურა

კლასიფიკატორის კოდი შედგება 8 თანრიგისაგან, სადაც პირველი სამი თანრიგი მარცხნიდან ნიშნავს დანაყოფს; შემდგომი ერთი თანრიგი – ჯგუფს; შემდგომი – კლასს; შემდგომი – კატეგორიას; ბოლო ორი თანრიგი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის უშუალო იდენტიფიკაციის მიზნით.

ესაა ტენდერისათვის საერთაშორისო, საყოველთაოდ მოსახმარებელი კლასიფიკატორი. იგი მოიცავს ყველა ჩამონათვალს. საკმაოდ ვრცელია დანაყოფთა ჩამონათვალი, რადგან კოდში დანაყოფისათვის გამოყოფილია პირველი სამი თანრიგი. ეს ნიშნავს, რომ 999 დანაყოფი შეიძლება არსებობდეს. თითოეულ დანაყოფში 10 ჯგუფია, თითოეულ ჯგუფში 10-კლასი, კლასში-10 კატეგორია და თითოეულ კატეგორიაში შეიძლება 99 დასახელების საქონლის განსაზღვრა. ეს საშუალებას გვაძლევს თავისუფლად დავაჯგუფოთ და დავახარისხოთ საქონელი. მაგალითად, დანაყოფი 302XXXXX არის კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი. მასში შედის ჯგუფი – 3021XXXX მონაცემთა დასამუშავებელი მანქანები. ამ ჯგუფში შედის კლასი – 30213XXX პერსონალური კომპიუტერები, ამ კლასში შედის კატეგორიები – 302131XX – ლეპტოპები, 302133XX – მაგიდის კომპიუტერები და ა.შ. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. მაგ., 30213101 შეიძლება იყოს, ვთქვათ, HP ფირმის რომელიმე მოდელის ლეპტოპი და ა.შ. თუ გვინდა კონკრეტული ლეპტოპის ამორჩევა, მაშინ უნდა მივუთითოთ კოდი =”30213101”, თუ გვინდა ყველა ლეპტოპის ამორჩევა, მაშინ კოდი =”302131”, თუ გვინდა ყველა პერსონალური კომპიუტერის ამორჩევა, მაშინ კოდი “30213”.

შესყიდვების განყოფილება A_1, A_2, \dots, A_n ქვედანაყოფებს შესავსებად უგზავნის ფორმა-1ტდ-ს ონლაინ რეჟიმში. ავსებენ რა ვებ-გვერდზე განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით ფორმა-1ტდ-ს ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, ხელმოწერის შემდეგ, უგზავნიან მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი კი – შესყიდვების განყოფილებას. შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი უკვე ყველა ქვედანაყოფიდან მიღებულ მოთხოვნას იხილავს ორგანიზაციის მენეჯერთან ერთად, თუ როგორ უნდა მოხდეს განაცხადებში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. სქემა მოცემული 2.2.3. ნახაზზე.




ფორმა-1ტდ

ფორმა-1ტდ

ფორმა-1ტდ

..



ნახ. 2.2.3. განაცხადების მოძრაობის სქემა

აქ ხელმოწერებში იგულისხმება ელექტრონული ხელმოწერა. დღესდღეობით ყველაზე უსაფრთხოა ე.წ. ციფრული ხელმოწერა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ კომუნიკაციებში ინფორმაციის გადაცემისას და საიმედოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ორგანიზაციის მენეჯერისათვის უკვე ცნობილია სატენდერო შესყიდვების მთლიანი ღირებულება. შესაძლებელია ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების საერთო ღირებულებათა ჯამი მეტი აღმოჩნდეს შესყიდვებისათვის ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ თანხაზე. ამისათვის ორგანიზაციის მენეჯერი მიმართავს ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების კორექტირებას. ქვედანაყოფების სპეციფიკიდან და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მენეჯერი (იგულისხმება ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მის მიერ არჩეული რამდენიმე ექსპერტის ჯგუფი) მოთხოვნებში მითითებულ რაოდენობას აკმაყოფილებს მთლიანად, აკმაყოფილებს ნაწილობრივ ან არ აკმაყოფილებს. ამისათვის ცხრილი **Request**-ის შესაბამის სვეტში ჩაიწერება „0“ (დაკვეთა არ არის დაკმაყოფილებული), „1“ – (დაკვეთა ამორჩეულია დასაკმაყოფილებლად), „2“ – (დაკვეთა სრულად არის დაკმაყოფილებული).

ცხრილი Request-ის აქვს შემდეგი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
IDNOM	Number	
Class	Text	3
Unit	Text	8
Marka	Text	255
Unitofgoods	Text	15
RequestQuantity	Number	single
BuyQuantity	Number	single
AlreadyBuyQuantity	Number	single
Secode	Text	4
Customer	Text	100
RequestDate	Text	4
IDPasPiri	Text	50
OK	Number	single
Cost	Currency	
BuyDate	Date/Time	

მოგვეავს ამ ცხრილის შევსების მაგალითი:

i d	class	unit	Marka	Unitofgoods	Request Quantity	Buy-Quantity	Buy-Already Quantity	secode	Customer	Request Date	ID-PasPiri	o k	Cost	B u y D a t e
1	302	30211100	სუპერ-კომპიუტერი	ცალი	1	1		1150	დ.ძიძიგური	2011	ც.ლაშვი		500	
2	302	30213300	მაგიდის კომპიუტერი	ცალი	300	250				2011				

3	302	30232110	ლაზერული პრინტერი	ცალი	48	45				2011			
4	302	30232120	მატრიცული პრინტერი	ცალი	10	10				2011			
5	302	30232130	ფერადი პრინტერი	ცალი	15	13				2011			

ყველა სტრუქტურული ერთეულიდან მიღებული დაკვეთების მონაცემთა ბაზაში "მატერიალურ - ტექნიკური რესურსები" ჩამატების შემდეგ უნდა დაიბეჭდოს შემსყიდველი ორგანიზაციის ქვედანაყოფებიდან მიღებული დაკვეთების სრული სია (მაგალითი ფორმა-2ტდ მოთხოვნა ხელსაწყო-დანადგარების, ინვენტარის, მაკომპლექტებელი ნაწილებისა და სახარჯო მასალების შეძენაზე).

The screenshot shows a Microsoft Access database window titled "FBuyPlan - Microsoft Access". The main table contains the following data:

კლასი:	მარკა:	ქვედანაყოფი:	შემკვეთი:	ერთეუ- ლი:	შეკვეთი ს რელი:	საგარაუდ ო ფასი:	დარჩენ ილია შეუსრ ულეზე ლი:	არჩეუ ლია შესაძენ ად:	სრული შეკვეთ იდან შეძენი ლია:	შესაძენად ამორჩეულია ღირებულება:	ამორ ჩევა:
0101	Pentium-IV	1117	დ.ძიძიგური (ბიოლოგი)	ცალი	2011	1,200.00	1	1	0	1,200.00	1
0101	Pentium-IV	0110	გ.ღვინაძე (სამეცნი)	ცალი	2011	1,200.00	5	0	0	0.00	0
0101	Notebook Pentium-IV	0110	გ.ღვინაძე (სამეცნი)	ცალი	2011	2,500.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	0110	გ.ქორაძე	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1600	ა.ცისკარიძე	ცალი	2011	1,200.00	6	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1500	ა.კანადაშვილი (გაზთ)	ცალი	2011	1,000.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1218	მ.ჩაჩიბაია (აღმოსავლელ)	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1215	ქ.ხუციშვილი (ეთნოლოგი)	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1135	ი.ჩიკვაძე (ქიმიის ფ-	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	0107	დ.კანდილაძე (სასწავლ)	ცალი	2011	1,200.00	5	3	0	3,600.00	1
0101	Pentium-IV	1135	მ.ჭანკვეტაძე (ქიმიის მ-	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Notebook Pentium-IV	0122	ზ.გაბარაშვილი (ბიზნეს)	ცალი	2011	2,500.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	0104	ხ.ფსისაიძე (კახველ)	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1400	ა.გომია (ეკონომიკა დ-	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1200	ხ.ბაინდურაშვილი	ცალი	2011	1,200.00	1	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1200	დ.თვალთვაძე (ზუზანი)	ცალი	2011	1,200.00	4	0	0	0.00	0
0101	Notebook Pentium-IV	1135	მ.სამსონია (ქიმიის ფ-	ცალი	2011	2,500.00	1	0	0	0.00	0
0101	Servers/FSC Primergy TX200 Dual Proces	0124	ლ.ჩოლოყაშვილი (გამოც)	ცალი	2011	0.00	1	0	0	0.00	0
0101	Notebook Pentium-IV	1221	ზ.სხიტლაძე (ბელოგი)	ცალი	2011	2,500.00	1	0	0	0.00	0
0101	Notebook Pentium-IV	0124	ნ.წიკლაური (გამომცენ)	ცალი	2011	2,500.00	2	1	0	2,500.00	1
0101	Pentium-IV	0124	ნ.წიკლაური (გამომცენ)	ცალი	2011	1,200.00	7	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	0124	ნ.წიკლაური (გამომცენ)	ცალი	2011	1,500.00	2	0	0	0.00	0
0101	Pentium-IV	1213	გ.ბარამიძე (კავკასილ)	ცალი	2011	1,200.00	4	0	0	0.00	0

Summary table at the bottom:

სულ შეკვეთილია ჯამი:	დაუკმაყოფილებელი შეკვეთებიდან ცხრილიდან გამოყოფილია ჯამი:	14,690.00
დაკვეთების ბაზაში ჩამატების შემდეგ დაბეჭდეთ დაკვეთების სრული სია.	დაუკმაყოფილებელი შეკვეთებიდან შესყიდვისათვის ამორჩეულია ჯამი:	13,300.00
შესაძენა ამორჩევის შემდეგ დაბეჭდეთ განაცხადი შეძენაზე. შეძენის განხორციელების შემდეგ დააფიქსირეთ შეძენა.	კომპიუტერული ტექნიკის მაკომპლექტებული ნაწილები	1,390.00
ქვედანაყოფებიდან შემოსული დაკვეთები (ბეჭდვა)	კომპიუტერული ტექნიკის სახარჯო მასალები	
განაცხადი შეძენაზე (ბეჭდვა)	საკანცელარიო საქონელი:	
შემენის დაფიქსირება	სამეურნეო საქონელი:	
	შესყიდვისათვის ამორჩეულია ჯამი სულ დღგ-ს ჩათვლით:	17,628.00

აქ ხდება ერთგვაროვანი ობიექტების მიხედვით როგორც რაოდენობრივი, ასევე საერთო ღირებულების განსაზღვრა (მაგ., კომპიუტერებზე, პრინტერებზე და ა.შ.); თუ ქვედანაყოფებიდან შემოსული შეკვეთების ღირებულებათა ჯამი მეტი აღმოჩნდა სატენდეროდ გამოყოფილი თანხის რაოდენობაზე, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზაციის მენეჯერი მიმართავს ქვედანაყოფებიდან შემოსული მოთხოვნების კორექტირებას. სტრუქტურული ერთეულების პრიორიტეტების მიხედვით მენეჯერი, ყოველი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნათა გადახედვის საფუძველზე, ამოირჩევს, ვის რა რაოდენობის შეკვეთა უნდა დაუკმაყოფილდეს. ამ ამოირჩევის შემდეგ სტრუქტურული ერთეულებიდან



შემოსული შეკვეთების საერთო ღირებულება S1 უნდა მიუახლოვდეს სატენდეროდ გამოყოფილ S თანხას. შესაძენთა შერჩევა უნდა მოხდეს ოპტიმალურად, ისე, რომ **S-S1 0**. ე.ი. ეს სხვაობა ტენდერისათვის გამოყოფილ თანხასა და შესყიდვისათვის ამორჩეული საქონლის, მომსახურების ან სამუშაოების ღირებულებების ჯამს შორის უნდა იყოს მინიმალური.

დაზუსტდება რა ტენდერით შესაძენ შეკვეთათა რაოდენობა, ვბეჭდავთ უკვე განაცხადს შექმნაზე, სადაც უკვე მითითებულია კონკრეტული ქვედანაყოფებიდან ვის რა რაოდენობის, რა თანხის შეკვეთა უნდა დაუკმაყოფილდეს. ეს ამონაბეჭდი გადაეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. აქ ხდება ჯგუფების მიხედვით ღირებულებისა და საბოლოოდ მთლიანი შესყიდვების ღირებულების დაანგარიშება. შეკვეთების შექმნის შემდეგ მონაცემთა ბაზაში ჩაიწერება შექმნის თარიღი და დილაკით – "შექმნის დაფიქსირება" ხდება შეკვეთების ცხრილიდან მათი ჩამოწერა. ამის შემდეგ ცხრილ **Request** – ში დარჩება შეუსრულებელი შეკვეთები, რომლებიც განიხილება უკვე მომდევნო ტენდერზე.

ამ პროცესის შემდეგ შეიძლება, რომ გაკეთდეს დასკვნა: შემსყიდველი ორგანიზაცია მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად.

განიხილავს რა საბოლოოდ ამ დოკუმენტს, სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ტენდერის გამოსაცხადების შესახებ. განაცხადების ელექტრონული ფორმის შესავსებად მნიშვნელოვანია თსუ-სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი, რომელიც შედგება ოთხნიშნა ციფრისაგან. პირველი ორი თანრიგი არის ადმინისტრაციის ან ფაკულტეტის ან/და ინსტიტუტის კოდი, ხოლო დანარჩენი ორი კი სტრუქტურული ერთეულების ნომერი:

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
0101	რექტორატი
0102	აკადემიური საბჭო
0103	წარმომადგენლობითი საბჭო
0104	კანცელარია
0105	პერსონალის მართვის დეპარტამენტი
0106	საფინანსო დეპარტამენტი
0107	სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი
0108	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
0109	მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი
0110	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი
0111	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური
0112	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
0113	აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
0114	საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი
0115	კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი
0116	კონსულტანტებისა და ექსპერტების ჯგუფი
0117	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტი
0118	იურიდიული დეპარტამენტი
0119	საგამოცდო ცენტრი
0120	გაზეთ " თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია
0121	მუზეუმი
0122	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
0123	შიდა აუდიტის სამსახური
0124	გამომცემლობა
0125	სტუდენტთა თვითმართველობა
0126	ენების შემსწავლელი ცენტრი
1100	ფაკულტეტის ადმინისტრაცია
1101	კანცელარია
1102	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1103	სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური
1104	ბიბლიოთეკა
1105	რესურსების მართვის სამსახური
1106	სტუდენტთა თვითმართველობა
1107	სასწავლო ცენტრი "CISCO-ს ქსელური აკადემია"
1108	ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია
1109	აპარატურული და ტექნიკური უზრუნველყოფის ლაბორატორია
1110	ატომური ფიზიკის ლაბორატორია
1111	ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია
1112	ბიორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია
1113	ბიოფიზიკის ლაბორატორია
1114	ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია
1115	გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორია
1116	გამოყენებითი ელექტროდინამიკის და რადიოტექნიკის ლაბორატორია
1117	გენეტიკის ლაბორატორია
1118	გეოფიზიკისა და იონოსფეროს ფიზიკის ლაბორატორია
1119	ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ლაბორატორია
1120	ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის ლაბორატორია
1121	ზოგადი ფიზიკის ლაბორატორია
1122	ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია
1123	იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია
1124	კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ლაბორატორია
1125	მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
1126	მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორია
1127	მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორია
1128	მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის ლაბორატორია
1129	მორფოლოგიის ლაბორატორია
1130	ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია
1131	ორგანული ქიმიის ლაბორატორია
1132	პეტროქიმიის ლაბორატორია
1133	პროგრამული უზრუნველყოფის ლაბორატორია
1134	უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების ანალიზის მონათესავე საკითხების ლაბორატორია
1135	ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია
1136	ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ლაბორატორია
1137	ჯანდარის ლაბორატორია
1138	ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორია
1139	ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის ლაბორატორია
1140	მათემატიკის ლაბორატორია
1141	არაორგანულ-ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1142	არაწრფივი მოვლენების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1143	ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1144	ბიოფიზიკისა და ბიო-ნანომეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1145	გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1146	გამოყენებითი ეკოლოგიის ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1147	ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1148	გენეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1149	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1150	კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1151	მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1152	მეტალორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1153	მიკრო და ნანოელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1154	ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1155	ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1156	სტრესის ბიოქიმიური მექანიზმების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1157	ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1158	მათემატიკის დეპარტამენტი

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
1159	კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
1160	ფიზიკის დეპარტამენტი
1161	ქიმიის დეპარტამენტი
1162	ბიოლოგიის დეპარტამენტი
1163	გეოგრაფიის დეპარტამენტი
1164	გეოლოგიის დეპარტამენტი
1200	ფაკულტეტის ადმინისტრაცია
1201	კანცელარია
1202	ხარისხის მართვის სამსახური
1203	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
1204	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
1205	რესურსების მართვის სამსახური
1206	სამეცნიერო ბიბლიოთეკა და რესურსცენტრი
1207	თვითმართველობა
1208	რესურსების მართვის სამსახური
1209	ქართული ენის ინსტიტუტი
1210	ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
1211	თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი
1212	ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი
1213	კავკასიოლოგიის ინსტიტუტი
1214	საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი
1215	არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
1216	მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი
1217	კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი
1218	ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
1219	კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი
1220	ფილოსოფიის ინსტიტუტი
1221	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი
1222	ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტი
1223	პედაგოგიკის ინსტიტუტი
1224	ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი
1225	რუსისტიკის ინსტიტუტი
1226	უკრაინისტიკის ინსტიტუტი
1227	პოლონეთის შესწავლის ცენტრი
1228	ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი
1229	ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი
1230	ლექსიკოგრაფიის ცენტრი
1300	ფაკულტეტის ადმინისტრაცია
1301	კანცელარია

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
1302	ხარისხის მართვის სამსახური
1303	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
1304	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
1305	რესურსების მართვის სამსახური
1306	სტუდენტთა მომსახურების ცენტრი
1307	ბიბლიოთეკა
1400	ფაკულტეტის ადმინისტრაცია
1401	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
1402	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
1403	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
1404	რესურსების მართვის სამსახური
1405	ბიბლიოთეკა
1406	ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი"
1407	სასწავლო ლაბორატორია
1408	კანცელარია
1409	მარკეტინგის კათედრა
1410	მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა
1411	ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა
1412	საერთაშორისო ბიზნესის კათედრა
1413	მაკროეკონომიკის კათედრა
1414	ეკონომეტრიკის კათედრა
1415	მიკროეკონომიკის კათედრა
1416	ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა
1417	ეკონომიკის პრინციპების კათედრა
1418	ეკონომიკური სტატისტიკის კათედრა
1419	ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა
1420	ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა
1421	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა
1500	ფაკულტეტის ადმინისტრაცია
1501	კანცელარია
1502	ხარისხის მართვის სამსახური
1503	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
1504	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
1505	რესურსების მართვის სამსახური
1506	სამეცნიერო ბიბლიოთეკა და რესურსცენტრი
1507	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების ინსტიტუტი
1508	კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის ინსტიტუტი
1509	საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი
1510	სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტი

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
1511	შედარებითი და ეროვნული კონსტიტუციური სამართლის ინსტიტუტი
1512	ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი
1600	ფაკულტეტის ადმინისტრაცია
1601	კანცელარია
1602	სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური
1603	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
1604	რესურსების მართვის სამსახური
1605	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2100	თსუ-სა და აიდაპო-ს(აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ადმინისტრაცია
2200	სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტის ადმინისტრაცია
2300	ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ს/კ ცენტრის ადმინისტრაცია
2400	ევროპული კვლევების ინსტიტუტის ადმინისტრაცია
2500	გამოყენებითი მათემატიკის ს/კ ინსტიტუტის ადმინისტრაცია
2600	მაღალი ენერჯიების ფიზიკის ს/კ ინსტიტუტის ადმინისტრაცია
2700	კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
2800	ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია
2900	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3000	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3100	რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3200	კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3300	მიხეილ ნოდუას გეოფიზიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3400	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3500	ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3600	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3700	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3800	ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
3900	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
4000	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
4100	ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია
4200	დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი
4300	მულტიმედია ცენტრი
4400	ლექსიკოგრაფიის ცენტრი
4500	იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კლასიფიკატორი	
	სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი
4600	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
4700	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ფაკულტეტების კლასიფიკატორი

01	ცენტრალური ადმინისტრაცია
11	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
12	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
13	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
14	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
15	იურიდიული ფაკულტეტი
16	მედიცინის ფაკულტეტი
21	თსუ-სა და აიდაჰო-ს(აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
22	სამედიცინო პოლიმერული მასალების ინსტიტუტი
23	ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ს/კ ცენტრი
24	ევროპული კვლევების ინსტიტუტი
25	გამოყენებითი მათემატიკის ს/კ ინსტიტუტი
26	მაღალი ენერჯიების ფიზიკის ს/კ ინსტიტუტი
27	კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი
28	ტურიზმის საერთაშორისო სკოლა
29	პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
30	პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
31	რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
32	კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი
33	მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი
34	ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
35	ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი
36	შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
37	ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
38	ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი
39	თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი
40	ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტია

41	ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი
42	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
43	არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
44	მულტიმედია ცენტრი
45	დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი
46	ლექსიკოგრაფიის ცენტრი
47	იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო სამეცნიერო ცენტრი

**2.3. ტენდერის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსება
ინტერნეტსა და პრესაში**

ტენდერით შესაძენ შეკვეთათა რაოდენობის დაზუსტების შემდეგ განაცხადში შექმნაზე⁴⁷ მითითებულია კონკრეტული ქვედანაყოფებიდან ვის რა რაოდენობის და რა თანხის შეკვეთა უნდა დაუკმაყოფილდეს. ამის შემდეგ ხდება ჯგუფების მიხედვით როგორც ღირებულების, ასევე მთლიანი შესყიდვების ღირებულების დაანგარიშება და შემსყიდველი ორგანიზაცია მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად. ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი. სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ტენდერის გამოცხადების შესახებ.

დღეს საქართველოში მოქმედი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა პრეტენდენტის შეფასებისას უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ ობიექტურ და თვლად კრიტერიუმს – ფასს, ხოლო სხვა დანარჩენი კრიტერიუმები (ხარისხი, მოწოდების ვადა, გამოცდილება, გარანტია და სხვა) უნდა აკმაყოფილებდნენ შემსყიდველის მიერ წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს. ამ მახასიათებლების მიმართ კრიტერიუმები კი არ გაუქმდა, არამედ შეიცვალა შეფასების წესი – ქულების მაგივრად იწერება პლუსი/მინუსი, ე.ი. ტენდერში გამარჯვების განმსაზღვრელი არის მაინც ფასი, რაც, ჩვენი აზრით, არის სისტემის ნაკლოვანება. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს სხვა კომპონენტებზეც.

ჩვენ მიერ შექმნილია ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო მონაცემთა⁴⁸ ბაზა ელექტრონული ფორმით, სადაც კრიტერიუმები (ხარისხი, მოწოდების ვადა, გამოცდილება, გარანტია და სხვა) ფასდება სატენდერო კომისიის თვითეული წევრის მიერ ქულებით 0-9 გარკვეულ ვადებში და შედეგები ინახება კრიტერიუმების შეფასებათა ცხრილში.

სამუშაო ადგილებიდან კომისიის ყველა წევრის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე დროში ყველა კრიტერიუმზე შეფასების 0-9

⁴⁷ უურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", №6, თბილისი, 2011, განხილულია შემსყიდველ ორგანიზაციებში სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირების ტექნოლოგია.

⁴⁸ უურნალი "ეკონომიკა", №11-12, თბილისი, 2011, განხილულია ონლაინ რეჟიმში სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ფუნქციონირების საკითხის.

ქულების დაფიქსირების შემდეგ უქმდება ყოველი კომისიის წევრის შეფასებიდან შეფასების მაქსიმალური და მინიმალური ქულები. მაგალითად:

დაუშვათ, რომ კომისიის შვიდმა წევრმა ხუთი კრიტერიუმი შეაფასა შემდეგნაირად:

	კრიტ. 1	კრიტ. 2	კრიტ. 3	კრიტ. 4	კრიტ. 5	
წევრი 1	5	4	2	1	0	
წევრი 2	3	4	1	0	0	
წევრი 3	4	3	1	0	0	
წევრი 4	5	5	2	0	1	
წევრი 5	8	6	2	0	0	
წევრი 6	9	3	1	0	0	
წევრი 7	6	4	0	0	0	
ჯამი	40	29	9	1	1	80
ახალი ჯამი	28	20	7	0	0	55
კოეფიციენტი	0.51	0.36	0.13	0.00	0.00	

კრიტერიუმების მაქსიმალური და მინიმალური შეფასებები ყვითელი ფერებითაა აღნიშნული. ახალი ჯამი ყვითლების ამოღებით მიიღება. კომისიის პირველი წევრისათვის პირველი კრიტერიუმის შეფასების კოეფიციენტი არის $28:55=0,51$; მეორე წევრისათვის $20:55=0,36$; მესამე წევრისათვის $7:55=0,13$ და ა.შ. აქ დამრგვალებას ვახდენთ მეასედი სიზუსტით. ამის შემდეგ კომისია გადადის სატენდერო წინადადების შეფასებაზე.

ანალოგიურად დაუშვათ, რომ რომელიმე ორგანიზაციის სატენდერო წინადადება კომისიის წევრებმა შეაფასეს შემდეგნაირად:

	კრიტ. 1	კრიტ. 2	კრიტ. 3	კრიტ. 4	კრიტ. 5	
წევრი 1	8	8	2	9	0	
წევრი 2	8	5	1	8	0	
წევრი 3	6	7	1	5	0	
წევრი 4	6	5	2	6	2	
წევრი 5	5	6	2	8	0	
წევრი 6	7	6	1	9	0	
წევრი 7	1	4	0	8	0	
ჯამი	41	41	9	53	2	
კოეფიციენტი	0.51	0.36	0.13	0.00	0.00	
ქულა	20.87	14.91	1.15	0.00	0.00	36.93

სატენდერო წინადადების შეფასებისათვის თითოეული კრიტერიუმის ჯამი მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე და იკრიბება:

$$41*0.51+41*0.36+9*0.13=36.93$$

ანალოგიურად ფასდება სხვა პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებები და გამარჯვებულია ის მომწოდებელი, რომელმაც ჯამში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა.

აქედან გამომდინარე კრიტერიუმის შეფასებაზე განცხადებაში უნდა მიუთითოთ თუ რა მიმდევრობით ვითხოვთ პრეტენდენტის წინადადების შეფასებას ე.ი. რომელ კრიტერიუმს ვანიჭებთ უპირატესობას ან საერთოდ არ ვანიჭებთ.

ტენდერით განსახორციელებელი შესყიდვებისათვის ჩვენ მიერ შექმნილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდის სატესტო ვერსია (www.spatest.tsu.ge). ვებ-გვერდის მენიუში განთავსებულია პუნქტი სატენდერო განცხადება ანუ სადაც უნდა განთავსდეს ინფორმაცია ტენდერის გამოცხადების შესახებ. იგი უნდა შეიცავდეს შემდეგი ინფორმაციას⁴⁹:




1. ტენდერის ტიპი;
2. სატენდერო განცხადების ნომერი;
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;
4. ტენდერის გამოცხადების თარიღი და დრო; სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების თარიღი და დრო;
5. სატენდერო წინადადებების მიღების დამთავრების თარიღი და დრო;
6. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (ლარებში) დღგ-ს ჩათვლით;
7. შესყიდვის კატეგორია CPV კოდების მითითებით;
8. შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა;
9. მოწოდების ვადა;
10. გარანტიის ოდენობა;

⁴⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №8 და მუხლი №9.

11. ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ.

მოვიყვანოთ სატენდერო განცხადების ნიმუში, რომლითაც გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი კომპიუტერული მოწყობილობებისა და მარაგების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ:



ტენდერის ტიპი:	ელექტრონული ტენდერი
სატენდერო განცხადების ნომერი:	თსუ A000000002
შემსყიდველი:	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი:	25.08.2011 16:00
წინადადებების მიღება იწყება:	10.09.2011 00:05
წინადადებების მიღება მთავრდება:	15.09.2011 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:	32 321 ლარი
სატენდერო წინადადება	დღგ-ს გათვალისწინებით
წარმოდგენილი უნდა იყოს:	
შესყიდვის კატეგორია:	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა:	დეტალური ინფორმაცია იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა:	ეტაპობრივად, სახელმწიფო
შესყიდვების ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღე	
გარანტიის ოდენობა:	323 ლარი
გარანტიის მოქმედების ვადა:	60 დღე

განცხადების ჩაწერა: გიორგი მეგრელიშვილი:: 25.08.2011 16:00

ბოლო შესწორება: გიორგი მეგრელიშვილი:: 25.08.2011 15:00

სატენდერო განცხადება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ასევე უნდა გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათი"-ში ზემოთ არსებული ნიმუშის მიხედვით და მას

უზრუნველყოფს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოიძებნოს სხვა საინფორმაციო საშუალებებიც. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებასა⁵⁰ და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებში, გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილებისა და ეს ცვლილება უნდა განთავსდეს სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 5 დღისა.

ვებ-გვერდის მენიუში განთავსებულია პუნქტი **სატენდერო დოკუმენტაცია**, რომელიც უნდა შეიცავდეს:

1. იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;

2. შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მოწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;

3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს;

4. ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე და ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე;

5. მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადებების ღირებულება იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);

6. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;

7. მითითებას შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურას.

⁵⁰ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სატენდერო დოკუმენტაციის მაგალითი იხილეთ დანართებში ნაშრომის ბოლოს.

2.4. ინტერნეტის საშუალებით ტენდერში მონაწილეთა

წინადადებების შეგროვება

სატენდერო წინადადება არის ელექტრონული სისტემის საშუალებით მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და შესყიდვის ობიექტის ფასი.

ტექნიკური დოკუმენტაცია შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაციაა, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით.

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ფორმით განხორციელება შესაძლებელია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

ტექნიკური ან/და პროცედურული საკითხების დაზუსტების მიზნით შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე კონკურენტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით info@procurement.gov.ge. ამ ელექტრონულ შეტყობინებაში შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს შესყიდვის ობიექტს, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, წინადადებების მიღების ვადებს და სხვა მონაცემებს საკუთარი შეხედულებისამებრ. შეტყობინების პასუხად კონკურენტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის შემსყიდველ ორგანიზაციას სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებს, რომლებსაც იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება ჩვენ მიერ შემუშავებული სისტემის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდის სატესტო ვერსიის www.spatest.tsu.ge-ol საშუალებით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.

წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა, პირველ რიგში, სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იქნება ნებისმიერი ინფორმაცია წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი აღწერის მიზნით. ამის შემდეგ პრეტენდენტმა სისტემაში უნდა მიუთითოს სატენდერო წინადადების ფასი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და ფასის მითითების შემდეგ დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით შეცვლა, გაუქმება ან წაშლა.

აქ, პუნქტში შემოთავაზება აიტვირთება ტენდერში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ სატენდერო დოკუმენტაციას (ყოველივე ამისათვის მათ წინაწარ მიუთითებენ ვებ-გვერდზე ატვირთული ინფორმაციის საშუალებით).

ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის შემსყიდველი ორგანიზაცია განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი, რასაც საკვალიფიკაციო მონაცემებს უწოდებენ. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიონალური კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსის, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური შესაძლებლობების, ასევე იმ საკითხების მიმართ, რომელიც ეხება მათი საქმიანობის სამართლებრივ მხარეს.

სატენდერო კომისიის წევრთა მიერ პრეტენდენტთა შეფასება ხდება კრიტერიუმების შეფასების შემდეგ, წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შეფასებით, რომელიც კონკრეტულადაა განხილული მომდევნო პარაგრაფში.

თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს, კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

ამ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს მას ვადას არა უმეტეს 3 დღისა. თუ ამ დროში არ

მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. საერთოდ, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ⁵¹:

ა) მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

გ) ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას;

დ) ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ე) პრეტენდენტი უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე;

ვ) ჩაიდენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ან რადენიმე სატენდერო წინადადება, სადაც შესყიდვის ობიექტი აღწერილი უნდა იყოს მკაფიოდ და გასაგებად. მოსაწოდებელი ობიექტის აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალები, სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, მომსახურების აღწერილობა და სხვა უნდა ასახავდეს მოსაწოდებელი საქონლის ობიექტურ, ტექნიკურ და ხარისხობრივ პარამეტრებს.

2.5. ონლაინ რეჟიმში ტენდერში მონაწილე ფირმათა შორის გამარჯვებული ფირმის (ფირმების) გამოვლენა

⁵¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, 2011 წლის 7 აპრილი, ქ. თბილისი, მუხლი №13,

ტენდერით განსახორციელებელი შესყიდვა საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი პროცესია. ის პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გავეყოთ: მოსამზადებელი და დასკვნითი⁵². დასკვნითი ნაწილი სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. ის იწყება ტენდერის გამოცხადებიდან და დასრულებამდე მთლიანად რეგულირდება შესყიდვების განხორციელების მოქმედი კანონმდებლობით. ამ პროცესში საფინანსო დეპარტამენტთან, სატენდერო კომისიასა და პროფილურ სამსახურებთან ერთად მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საექსპერტო-მარეგულირებელი სამსახურები და მომწოდებელი პრეტენდენტი მრავალი ორგანიზაცია, რომელთაც ტენდერში მონაწილეობისათვის, საკვალიფიკაციო მონაცემების სახით, უწევთ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან ოფიციალური დოკუმენტების მოძიება და წარმოდგენა საბანკო გარანტიებთან ერთად.


სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებულ შეკვეთათა რაოდენობის დაზუსტების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად და სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ტენდერის გამოცხადების თარიღებთან დაკავშირებით.

ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით აქვეყნებს განცხადებას ტენდერის ჩატარების შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებებში. კომისიას უფლება აქვს შეცვალოს განცხადებაში მითითებული ინფორმაცია და ეს ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

ჩვენ მიერ შექმნილია ტენდერით განსახორციელებელი შესყიდვებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდი www.spatest.tsu.ge⁵³:

⁵² ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", 2011 წ. №6. განხილულია შემსყიდველ ორგანიზაციაში სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირების ტექნოლოგია.

⁵³ Установка и администрирование сервера MySQL. <http://www.mysql.ru/docs/instadm.html> Joomla!1.5.23 Stable 04-March-2011



სურათი 2.5.1

მასზე განთავსდება ინფორმაცია ტენდერის გამოცხადებისა და მიმდინარეობის შესახებ. სატენდერო განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:



1. ტენდერის ტიპი;
2. სატენდერო განცხადების ნომერი;
3. ტენდერის გამოცხადების თარიღი;
4. სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების თარიღი და დრო;
5. სატენდერო წინადადებების მიღების დამთავრების თარიღი და დრო;
6. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (ლარებში) დღგ-ს ჩათვლით;
7. შესყიდვის კატეგორია CPV კოდების მითითებით;
8. ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ.

თსუ შესყიდვების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განცხადება შემდეგი სახისაა:

ტენდერის ტიპი: ელექტრონული ტენდერი

სატენდერო განცხადების ნომერი: თსუ *A000000001*

შემსყიდველი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 25.08.2011 16:32

წინადადებების მიღება იწყება: 10.09.2011 00:00

წინადადებების მიღება მთავრდება: 15.09.2011 12:00

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 32 321 ლარი

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ-ს გათვალისწინებით

შესყიდვის კატეგორია: 30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი

დამატებითი ინფორმაცია: იხ. სატენდერო დოკუმენტაცია

მთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი (საკვალიფიკაციო მოთხოვნები), განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია.

ჩვენს შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან იმის შესახებ, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან იმის შესახებ, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

2. ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი უფლებამოსილი ორგანოდან;

გ) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან მასზე, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღისათვის არსებობს სპეციალური მოთხოვნები და ეს დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მოთხოვნიდან რამდენიმე დღეში.

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიუსის დამოწმებული ასლები, შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები (მაგალითი) მიეწოდება შემდეგი სახით(ცხრილი №2.5.1):

ფასების ცხრილი საქსელო მოწყობილობებისათვის (CPV 324200000)

ცხრილი №2.5.1

შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოდელი	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები	წარმოების ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მინიმალური გარანტია
	ჰაბი: 8 პორტიანი, Unmanaged		6			1 წელი
	ჰაბი: 16 პორტიანი, Unmanaged		9			1 წელი

		ჰაბი: 24 პორტიანი, Unmanaged		8			1 წელი
		უსადენო წვდომის ქსელური მოწყობილობა (Access Point): 802.11 b/g/n		7			1 წელი
		ქსელის კაბელი: UTP-Cat.5E, 0.5MM სპილენძის გამტარებით		8			

მოსაწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა მითითებულია **ფასების ცხრილში ნაშრომის ბოლოს დანართებში** განსაზღვრული პირობების შესაბამისად. საგარანტიო ვადის ამოწურვამდე მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები (წუნი) აღმოფხვრას გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 დღეში.

სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე, ხოლო ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის ეტაპობრივად, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების შუალედური აქტის, სასაქონლო ზედნადების და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით. ამასთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება იმ ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელსაც მიაყენებს შემსყიდველს მომწოდებელი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო. თუ მომწოდებელი სრულად და ჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მომწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება. შესყიდვის ობიექტის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 კალენდარული დღის განმავლობაში, ეტაპობრივად, შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. აქვე მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების მისამართი.

ტენდერებში მონაწილეობა შეუძლიათ სხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (არარეზიდენტი), რომელთა მუდმივი ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა. ამისათვის არარეზიდენტმა პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ (ჩვენს მაგალითზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) თსუ შესყიდვების სამსახურის ვებ-გვერდზე, მენიუს ჩამონათვალში "სატენდერო დოკუმენტაცია" **დანართი №1**–თან ერთად უნდა ატვირთოს შემდეგი სახის სატენდერო დოკუმენტაცია:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
2. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია)
3. აფიდავიტი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც, ამავედროულად, დართული იქნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაში (საბანკო გარანტია) ასახულია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც გარანტორი ბანკი (გარანტორები) ვალდებულია დებულობს იმის შესახებ, რომ თუ მისი გარანტიის ქვეშ მყოფმა მომწოდებელმა არ შეასრულა შემსყიდველ ორგანიზაციასა და მომწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველ ორგანიზაციას საგარანტიო ხელშეკრულებაში მითითებული თანხა.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ შექმნილია ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზა ელექტრონული ფორმით.


ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი აგზავნის საჭირო ინფორმაციას, რომელიც მიიღება მისთვის სპეციალურად გამოყოფილ მისამართზე. ეს მისამართი ტენდერის გამოცხადებისას მითითებული იქნება ვებ-გვერდზე.

ტენდერის მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი მიღებული ფასების ცხრილიდან იღებს ინფორმაციას ისე, რომ არ ჩანდეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ვინაობის მიმანიშნებელი რაიმე ინფორმაცია, ანიჭებს მას გარკვეულ ნომერს და ამ დოკუმენტს მინიჭებული ნომრის მიხედვით გამოიტანს შეფასებისათვის სატენდერო კომისიის წევრთა მიმართ:

ცხრილი №2.5.2

შესყიდვების ობიექტის დასახელება და მოდელი	საკონლის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები	წარმოშო- ბის ქვეყანა	რაოდენ- ობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	გარანტია
D-LINK DES-1008A, Small case 8-port UTP 10/100Mbps Autosensing, Stand-alone, Unmanaged, Palm-top Fast Ethernet Switch	ჰაბი 8 პორტიანი Unmanaged ინტეგრირებული კვების ბლოკით	ჩინეთი	20	25	500	1 წელი
D-LINK DES-1016A, 16-port UTP 10/100Mbps Autosensing, Stand-alone, Unmanaged, Desktop size Switch with metal case, 19" Rack mountable	ჰაბი 16 პორტიანი Unmanaged ინტეგრირებული კვების ბლოკით	ჩინეთი	10	75	750	1 წელი
D-LINK DES-1016A, 24-port UTP 10/100Mbps Autosensing, Stand-alone, Unmanaged, Desktop size Switch with metal case, 19" Rack mountable	ჰაბი 24 პორტიანი Unmanaged ინტეგრირებული კვების ბლოკით	ჩინეთი	10	103	1030	1 წელი
D-LINK DAP-1150, 802.11N Wireless multimode, up to 150Mbps data transfer port, Operate as an access point, wireless router or repeater mode, NAT, PAT, Firewall64 /128-bit WEP encryption, WPA, 80	უსადენო წვედომის ქსელური მოწყობილობა (Access Point) 802.11 b/g/n	ჩინეთი	10	89	890	1 წელი
FTP CAT6E 23AWG cable 100 % CU 0.573 მმ სპილენძის გამტარებით	ქსელის კაბელი UTP Cat.5E, 0.5 MM სპილენძის გამტარებით	ჩინეთი	6100	0.94	5734	


ტენდერის მიმდინარეობის სქემა შეიძლება ასე გამოვსახოთ (სქემა №2.5.1):




სქემა №2.5.1. ელექტრონული ტენდერის ჩატარების ზოგადი სქემა
 უნდა აღინიშნოს, რომ სქემაზე გამოსახული ყველა პერსონა ტენდერის მიმდინარეობის დროს იმყოფება თავის ავტომატიზებულ სამუშაო ადგილზე.
 ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზებისათვის არსებობს მონაცემთა ბაზების სერვერი, რომელზეც მოთავსებული პროგრამები შესრულებულია Microsoft Access 2007-ის⁵⁴ საფუძველზე.

⁵⁴ 1. Michael Kofler: The Definitive Guide to MySQL, Second Edition, Apress © 2004 (824 pages), ISBN:1590591445


შემსუიდეველ წარმოება-ორგანიზაციაში
ტენდერის ელექტრონული ფორმით ჩატარების სქემა




სქემა №2.5.2



სქემა №2.5.2-ის გაგრძელება




სქემა №2.5.2-ის გაგრძელება




სქემა №2.5.2-ის გაგრძელება

მონაცემთა ბაზების სერვერზე მიმართვის შემდეგ ეკრანზე გამოდის მომხმარებლის ფანჯარა (სურ. №2.5.2):



სურ. №2.5.2. მომხმარებლის ფანჯარა

ამ ფანჯარაში ვირჩევთ ტენდერის ტიპს (მაგ. CPV30200000). **CPV** კოდები ევროკავშირის **EC N213/2008** დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ცნობარია (**Common Procurement Vocabulary-CPV**), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას. სტრიქონში „მომხმარებელი“ ვწერთ ტენდერის ადმინისტრატორის სახელს, პაროლის სტრიქონში კი-მის პაროლს და ვაჭერთ ღილაკს "ok". ამის შემდეგ ეკრანზე ჩნდება ფანჯარა ცხრილების კორექტირება (სურ. №2.5.3):



სურ. №2.5.3. ცხრილის კორექტირება

ტენდერში მონაწილე ყველა მხარეს (ტენდერის ადმინისტრატორი, კომისიის წევრები და დამკვირვებელი) აქვს თავისი იუზერი და პაროლი. ბაზაში სამუშაოდ შესვლა ყველასათვის ერთნაირია: იუზერი-პაროლი; განვიხილოთ თითოეული მათგანის ფუნქციები:

1. ტენდერის ადმინისტრატორი:

- * ტენდერის მონაცემთა ბაზის სრული სამუშაო მზადყოფნა;
- * სატენდერო კომისიის წევრებისათვის შესაფასებელი სატენდერო წინადადების ოპერატიულად და შეუფერხებლად მოწოდება ისე, რომ არ გაამჟღავნოს ადრესატის ვინაობა ტენდერის საბოლოო შედეგის გამოცხადებამდე;
- * დაინტერესებული პირებისათვის და დამკვირვებლებისათვის მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

2. სატენდერო კომისიის წევრი:

- * შესაძენი ობიექტის ტექნიკური პარამეტრების ზედმიწევნით ცოდნა.
- * შეფასების ყოველი კრიტერიუმის დამოუკიდებლად შეფასების დიდი საკადრო გამოცდილება;
- * წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების მაღალი პროფესიული შეფასების უნარი;

3. დამკვირვებელი:

- * თვალყური ადევნოს ტენდერის ადმინისტრატორის მიერ ტენდერის დაწყებამდე, მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, ტენდერის მიმდინარეობას (ტენდერის დამკვირვებლის სტატუსის ფარგლებში ინსტრუქციის შესაბამისად).

ლილაკზე „მომხმარებელი“ დაწკაპუნებით გამოდის fusers-ის ასეთი ფორმა (სურ. №2.5.4):

ID	ctenderi	csaxeli	cparoli	ctipi
1	CPV 30200000	kom1	kom1	K
2	CPV 30200000	kom2	kom2	K
3	CPV 30200000	kom3	kom3	K
4	CPV 30200000	kom4	kom4	K
5	CPV 30200000	kom5	kom5	K
6	CPV 30200000	kom6	kom6	K
7	CPV 30200000	kom7	kom7	K
8	CPV 30200000	dam1	dam1	D
9	CPV 30200000	adm1	adm1	A
*(New)				

სურ. №2.5.4. ტენდერში მონაწილენი

აქ აღწერილია ტენდერში მონაწილე ყველა მხარე: 7 კომისიის წევრი, დამკვირვებელი და ადმინისტრატორი.

ქვემოთ მოგვყავს (სურ. №2.5.5) ფორმებში მითითებული A, K და D-ს განმარტებები:

ID	ctipi	cfuncia
2	A	ადმინისტრატორი
3	K	კომისიის წევრი
4	D	დამთვალეირებული
*(New)		

სურ. №2.5.5. ტენდერში მონაწილეთა პირობითი აღნიშვნები ამის შემდეგ გადავდივართ და ვაწკაპუნებთ ღილაკს „მონაწილეები“ და მონიტორზე გამოვა ასეთი ტიპის ფანჯარა (სურ. №2.5.6):

ID	ctenderi	corganizacia	hwinadadeba	nomeri
1	CPV 30200000	ფირმა „როკოკო“	gognaZe\Danarti	101
2	CPV 30200000	aversi	gognaZe\Danarti	102
3	CPV 20200000	uuuuu		
*(New)				

სურ. №2.5.6. მოწოდების პრეტენდენტი ორგანიზაციები

მაგრამ ეს ფანჯარა ხელმისაწვდომია მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრატორისათვის და არცერთი სხვა მონაწილესათვის. ნომრებს 101, 102 და ა.შ. ანიჭებს ადმინისტრატორი და კომისიის წევრების მონიტორებზე გამოაქვს ტენდერში მონაწილეთა დავალებები, ტენდერში მონაწილის დასახელების გარეშე, შეფასებისათვის ისე, რომ კომისიის წევრებმა არ იციან, რომელი ფირმის წინადადებას აფასებენ, რათა თავიდან იქნას აცილებული მიკერძოებული შეფასებები. ღილაკზე ”ტენდერი” დაწკაპუნებით, ვიგებთ თუ რა სახის ტენდერებთან გვაქვს საქმე (სურ. №2.5.7. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის. მაგალითად:

ID	ctenderi	cdasaxeleba
1	CPV 30200000	კომპიუტერული მოწყობილობა
2	CPV 30300001	სამეურნეო საკონელი
3	CPV 20200000	ააა
*(New)		

სურ. №2.5.7. ტენდერის დასახელება და კოდი

ამის შემდეგ ვაწკაპუნებთ ღილაკზე “ვადები” (სურ. №2.5.8), რაც გულისხმობს კრიტერიუმის შეფასების (დაწყებისა და დამთავრების) და თვით ტენდერის შეფასების (დაწყებისა და დამთავრების) თარიღებს.

ID	ctenderi	ctipi	ddawyeba	ddamtavreb
1	CPV 30200000	K	11/24/2011	11/24/2011
2	CPV 30200000	T	11/24/2011	11/24/2011
*(New)				


სურ. №2.5.8. კრიტერიუმების და ტენდერის შეფასების ვადები

ვადების არჩევის შემდეგ ვაწკაპუნებთ ღილაკზე “კრიტერიუმი” (სურ. №2.5.9) და გამოდის ფანჯარა:

ID	ctenderi	nkrit	cdasaxeleba
1	CPV 30200000	1	ფასი
2	CPV 30200000	2	ხარისხი
3	CPV 30200000	3	გარანტია
4	CPV 30200000	4	გადახდის პირობები და ვადები
5	CPV 30200000	5	გამოცდილება
*(New)			

სურ. №2.5.9. ტენდერის შეფასების კრიტერიუმები

უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო კომისიის წევრთა, დამკვირვებელთა და მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. ამის შემდეგ ვაჭერთ ღილაკს “კრიტერიუმის შეფასების მომზადება” (სურ. №2.5.10).



სურ. №2.5.10. კრიტერიუმების შეფასების მომზადება


ეკრანზე ჩნდება კრიტერიუმები და კომისიის ყველა წევრი უწერს მას შეფასებას (0–დან 9–ის ჩათვლით). ეს უნდა მოხდეს გარკვეულ ვადებში. ეს ვადები დაფიქსირებული უნდა იყოს ვადების ცხრილში. შეფასებები ინახება კრიტერიუმის შეფასებების ცხრილში. თარიღებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ასეთი ფორმა (სურ. №2.5.11):

ID	ctipi	cfunqcia	Add New Field
2	K	კრიტერიუმი	
3	T	ტენდერი	
*(New)			

სურ. №2.5.11. კრიტერიუმების ტიპები

სადაც K მიუთითებს, რომ ამ ვადებისათვის საქმე გვაქვს კრიტერიუმების შეფასებებთან, ხოლო T – ტენდერის შეფასების ვადებთან.

კრიტერიუმის შეფასების შემდეგ ხდება სატენდერო წინადადებების შეფასება: კომისიის თითოეული წევრი ეცნობა ყველა წინადადებას და უწერს შეფასებას კრიტერიუმების მიხედვით (პირობითად 0-9). შეფასებები ინახება წინადადების შეფასებების ცხრილში (სურ. №2.5.12):



სურ. №2.5.12. წინადადებების შეფასებათა ცხრილი

შედგები ინახება შეფასების შედეგების ცხრილში, ხოლო ჯამები – საბოლოო შეფასების ცხრილში. აუცილებელია, ჩანდეს ყველა პრეტენდენტის შეფასებები კრიტერიუმების მიხედვით და ჯამური მნიშვნელობა.

რამდენიმე შენიშვნა კრიტერიუმის შეფასების შესახებ: მას შემდეგ, რაც შვიდივე კომისიის წევრი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სამუშაო ადგილებიდან ყველა კრიტერიუმზე დააფიქსირებს შეფასების ქულებს (0-9), შეფასების მაქსიმალური და მინიმალური ციფრები უქმდება თითოეული კომისიის წევრის შეფასებებიდან. განვიხილოთ კონკრეტულად (ცხრილი №2.5.3):

ცხრილი №2.5.3

სატენდერო კომისიის წევრი	კრიტერიუმის შეფასება				
	ფასი	ხარისხი	გარანტია	გადახდის პირობები და ვადები	გამოცდილება
№ 1	a_{11}	a_{12}	a_{13}	a_{14}	a_{15}
2	a_{21}	a_{22}	a_{23}	a_{24}	a_{25}
3	a_{31}	a_{32}	a_{33}	a_{34}	a_{35}
4	a_{41}	a_{42}	a_{43}	a_{44}	a_{45}
5	a_{51}	a_{52}	a_{53}	a_{54}	a_{55}
6	a_{61}	a_{62}	a_{63}	a_{64}	a_{65}
7	a_{71}	a_{72}	a_{73}	a_{74}	a_{75}
	S_1	S_2	S_3	S_4	S_5

კრიტერიუმების შეფასებები

$$S_1 = \sum_{i=1}^7 a_{i1}; \quad S_2 = \sum_{i=1}^7 a_{i2}; \quad S_3 = \sum_{i=1}^7 a_{i3}; \quad S_4 = \sum_{i=1}^7 a_{i4}; \quad S_5 = \sum_{i=1}^7 a_{i5};$$

$$S = S_{1+} S_{2+} S_{3+} S_{4+} S_{5+}; \quad S = \sum_{i=1}^7 \sum_{j=1}^5 a_{ij};$$

$$S^1 = S_{1-} [\max(a_{1i}) + \min(a_{1i})];$$

$$S^2 = S_{2-} [\max(a_{2i}) + \min(a_{2i})];$$

$$S^3 = S_{3-} [\max(a_{3i}) + \min(a_{3i})];$$

$$S^4 = S_{4-} [\max(a_{4i}) + \min(a_{4i})];$$

$$S^5 = S_{5-} [\max(a_{5i}) + \min(a_{5i})];$$

$$\bar{S} = \sum_{i=1}^5 S^i;$$

კოეფიციენტები: $\frac{S^i}{\bar{S}}$ – არის შეფასების პირველი კრიტერიუმის

კოეფიციენტი თითოეული კომისიის წევრისათვის. ანალოგიურად $\frac{S^i}{\bar{S}}$ – შეფასების მეორე კრიტერიუმის და ა.შ.

სატენდერო წინადადებების შეფასების შემდეგ ყოველი წევრის კრიტერიუმების შეფასებების ჯამები მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე და იკრიბება. ასე მიიღება სატენდერო წინადადების შეფასების ქულები. ანალოგიურად გადავდივართ სხვა პრეტენდენტების წინადადებების განხილვაზე. ტენდერში იმარჯვებს ის ორგანიზაცია, რომელიც მაღალ ქულებს დააგროვებს.

ზემოხსენებული პროცედურები განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე: დავუშვათ, რომ კომისიის შვიდმა წევრმა ხუთი კრიტერიუმი შეაფასა შემდეგნაირად:

	კრიტ. 1	კრიტ. 2	კრიტ. 3	კრიტ. 4	კრიტ. 5	
წევრი 1	5	4	2	1	0	
წევრი 2	3	4	1	0	0	
წევრი 3	4	3	1	0	0	
წევრი 4	5	5	2	0	1	
წევრი 5	8	6	2	0	0	
წევრი 6	9	3	1	0	0	
წევრი 7	6	4	0	0	0	
ჯამი	40	29	9	1	1	80
ახალი ჯამი	28	20	7	0	0	55

კოეფიციენტი	0.51	0.36	0.13	0.00	0.00
-------------	------	------	------	------	------

ცხრილი. №2.5.4. კრიტერიუმების შეფასებები

ახალი ჯამი ყვითლების (კრიტერიუმის მაქსიმალური და მინიმალური შეფასებების) ამოგდებით მიიღება. კომისიის პირველი წევრისათვის პირველი კრიტერიუმის შეფასების კოეფიციენტი არის $28:55=0,51$; მეორე წევრისათვის – $20:55=0,36$; მესამე წევრისათვის – $7:55=0,13$ და ა.შ. აქ დამრგვალებას ვახდენთ მეასედი სიზუსტით. ამის შემდეგ კომისია გადადის სატენდერო წინადადების შეფასებაზე.

ანალოგიურად დავუშვათ, რომ რომელიმე ორგანიზაციის სატენდერო წინადადება (მაგ. №101 ორგანიზაციის) კომისიის წევრებმა შეაფასეს შემდეგნაირად:

ცხრილი №2.5.5

	კრიტ. 1	კრიტ. 2	კრიტ. 3	კრიტ. 4	კრიტ. 5	
წვერი 1	8	8	2	9	0	
წვერი 2	8	5	1	8	0	
წვერი 3	6	7	1	5	0	
წვერი 4	6	5	2	6	2	
წვერი 5	5	6	2	8	0	
წვერი 6	7	6	1	9	0	
წვერი 7	1	4	0	8	0	
ჯამი	41	41	9	53	2	
კოეფიციენტი	0.51	0.36	0.13	0.00	0.00	
ქულა	20.87	14.91	1.15	0.00	0.00	36.93

საბოლოო ქულა

აქედან კომისიის თითოეული წევრის მიერ სატენდერო წინადადების შეფასებისას თითოეულ კრიტერიუმზე დაწერილი ქულების ჯამის შესაბამის კოეფიციენტზე გამრავლებით მიღებული ნამრავლების შეჯამებით მიიღება ორგანიზაციის სატენდერო წინადადების შეფასების საბოლოო ქულა. ანალოგიურად გამოითვლება სხვა ორგანიზაციების შედეგები. გამარჯვებულად გამოცხადდება ორგანიზაცია, რომელიც ჯამში მეტ ქულებს დააგროვებს. ამის შემდეგ ტენდერში გამარჯვებული ფირმის მიერ ხდება საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში და ხელშეკრულების გაფორმება.

2.6. გამარჯვებულ ფირმასთან (ფირმებთან) კონტრაქტის გაფორმება

2.5 პარაგრაფში განხილული იყო ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდით პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასების საბოლოო ქულის გაანგარიშება. ანალოგიურად გამოიანგარიშება ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასების საბოლოო ქულები. ტენდერში გამარჯვებულად ვაცხადებთ იმ ორგანიზაციას, რომელმაც სატენდერო წინადადების შეფასებისას ყველაზე მაქსიმალური ქულა მოაგროვა.

ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის სხდომაზე განიხილავენ უკვე ჩატარებული ელექტრონული ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგს და გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციას გადასცემენ შესაბამისი დარგის სპეციალისტს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოსადგენად. სატენდერო კომისიის მორიგ სხდომაზე იხილავენ სწორედ ამ შესაბამისობის დასკვნას. თუ დასკვნა უარყოფითია, მაშინ ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და ანალოგიურად მიემართავეთ სატენდერო წინადადების შეფასებისას მომდევნო ქულების მქონე პრეტენდენტს, ხოლო დადებითი დასკვნის შემთხვევაში ხდება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის შერჩევა.

თუ დოკუმენტაციაში სრულად არ არის წარმოდგენილი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით, მაშინ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გამარჯვებულ პრეტენდენტს ეგზავნება შეტყობინება 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს აღნიშნული ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მოუწოდებლობის შემთხვევაში ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ხოლო დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდების შემდეგ სატენდერო კომისია თავის მომდევნო სხდომაზე ადგენს: აღნიშნული ინფორმაცია ჩაითვალოს მისაღებად, წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებითა და ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამის შემდეგ სატენდერო კომისია "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული

ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე გამარჯვებულ პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის. ეს დოკუმენტებია:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

თავი III. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა 3.1. სისტემის რეალიზაციისათვის საჭირო ალგორითმები

ალგორითმი – იმ მოქმედებათა ერთობლიობის ზუსტი და სრული აღწერაა, რომელთა მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით შესრულება განაპირობებს დასმული ამოცანის ამოხსნას⁵⁵. ტერმინი ალგორითმი მე-9 საუკუნის შუა აზიელი მოაზროვნის მუხამედ ბენ მუსა ალ-ხორეზმის სახელის ლათინურ ტრანსკრიპციას უკავშირდება (Algorithmi). ალ-ხორეზმმა ჩამოაყალიბა არითმეტიკული მოქმედებების წესები. თავდაპირველად ალგორითმის ქვეშ გულისხმობდნენ მრავალნიშნა რიცხვებზე მხოლოდ ოთხი არითმეტიკული მოქმედების შესრულების წესებს. ამჟამად ალგორითმი შემდეგნაირად არის განმარტებული: ალგორითმი გარკვეულ მითითებათა სასრული ერთობლიობაა, რომლის შესრულება საშუალებას გვაძლევს, რომ მივიღოთ მოცემული ამოცანის ამონახსნი. ალგორითმი არის გამოსახულება, რომელიც შედგება მოქმედებების თანმიმდევრობისაგან და გამოთვლებით ამოცანის ამოხსნის საშუალებას იძლევა. თუ ეს ოპერაციები ხორციელდება ნაწილ-ნაწილ, ასეთ ალგორითმს წყვეტილ ალგორითმს ეძახიან. თუ ოპერაციები ხორციელდება პარალელურად სხვადასხვა პროცესორზე, ალგორითმს პარალელურ ალგორითმს ეძახიან. თუ ოპერაციები სრულდება ერთ ქსელზე, ალგორითმს ეწოდება განაწილებითი ალგორითმი. ალგორითმები გამოყენებულია ჯერ კიდევ უძველესი (ბაბილონის) პერიოდიდან ვაჭრობასა და ბეგარასთან დაკავშირებულ გამოთვლებში. ყველაზე ცნობილი ალგორითმი არის ევკლიდეს მე-7 წიგნში "ელემენტები", რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ ორი რიცხვის ყველაზე დიდი საერთო გამყოფი.

55

<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:GBElbA3mil4J:ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%98+%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%98&cd=3&hl=ka&ct=clnk&gl=ge>

ალგორითმმა სისტემატური სახე მიიღო სპარსელი მათემატიკოსის ალ-ხორეზმის ნაშრომებში (780-850). იგი არის ავტორი წიგნისა "ალგებრა და ბალანსირება", რომლებიც აღწერს ალგებრული გამოთვლების მეთოდებს.

ევროპაში კაპიტალიზმის ჩასახვის შემდეგ სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ალგორითმების გამოყენებამ. ისინი თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობენ. კომპიუტერულ მეცნიერებებში ძირითადი როლი ალგორითმებს უჭირავთ. პროგრამირება სხვა არაფერია, თუ არა სწორად შემუშავებული ალგორითმების ფსევდოკოდებით წარმოდგენა.

თანამედროვე მსოფლიოში ალგორითმი გახლავთ კონკრეტული სასრული პროცედურების შესრულება კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად. თუმცა ალგორითმის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მკაცრად არის განსაზღვრული ჩასატარებელ ოპერაციათა თანმიმდევრობა.

როგორც მეორე თავის მე-2.5 პარაგრაფში ავღნიშნეთ, ჩვენ მიერ შექმნილი ტენდერის ჩატარების ახალი სისტემის პირობებში სატენდერო კომისიის წევრთა მიერ თავდაპირველად ხდება კრიტერიუმების (ხარისხი, მოწოდების ვადა, გამოცდილება, ფასი, გარანტია და სხვა) შეფასება 0-9 სისტემით გარკვეულ ვადებში და შედეგები ინახება კრიტერიუმების შეფასებათა ცხრილში. აქ კომისიის ყველა წევრის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყველა კრიტერიუმზე 0-9 ქულების დაფიქსირების შემდეგ შეფასებებიდან უქმდება მაქსიმალური და მინიმალური ციფრები. ამის შემდეგ ხდება კრიტერიუმების დარჩენილი შეფასებების შეჯამება და ბოლოს ვაჯამებთ მიღებულ ყველა ახალ ჯამებს. ყოველი კრიტერიუმის დარჩენილი შეფასებების ჯამის ყველა მიღებული ახალი ჯამების ჯამთან შეფარდება გვაძლევს პირველი, მეორე და ა. შ. კრიტერიუმების შეფასების კოეფიციენტებს. აქ დამრგვალება ხდება მეასედი სიზუსტით. ახლა ყველა შეფასების კრიტერიუმისათვის გვაქვს შესაბამისი კოეფიციენტი.

შეფასების კრიტერიუმების კოეფიციენტების დადგენის შემდეგ სატენდერო კომისიის განსახილველად გამოაქვთ ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის სატენდერო წინადადება. განსახილველი წინადადების შეფასების თითოეული კრიტერიუმის ჯამი მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე და იკრიბება. ასე მიიღება სატენდერო წინადადების შეფასების საბოლოო ქულა.

ანალოგიურად ფასდება ტენდერში მონაწილე ყველა დანარჩენი პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. გამარჯვებულად ცხადდება ის მომწოდებელი, რომელმაც ჯამში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა.

ქვემოთ მოგვყავს ამ სისტემის რეალიზაციისათვის საჭირო ალგორითმი, სადაც სატენდერო კომისიის წევრთა რაოდენობა n , შეფასების კრიტერიუმის რაოდენობა m , დამკვირვებლების რაოდენობა განსაზღვრული არ არის (ე.ი. საჭიროების მიხედვით):

კრიტერიუმის შეფასება					
№	ფასი	ხარისხი	გარანტია	..	გამოცდილება
1	a_{11}	a_{12}	a_{13}	...	a_{1m}
2	a_{21}	a_{22}	a_{23}	...	a_{2m}
3	a_{31}	a_{32}	a_{33}	...	a_{3m}
...
n	a_{n1}	a_{n2}	a_{n3}	...	a_{nm}
	S_1	S_2	S_3	...	S_n

$$S_1 = \sum_{i=1}^n a_{i1}; \quad S_2 = \sum_{i=1}^n a_{i2}; \quad S_3 = \sum_{i=1}^n a_{i3}; \quad \dots \quad S_m = \sum_{i=1}^n a_{im}; \quad m=1,2,\dots$$

$$S = S_1 + S_2 + S_3 + \dots + S_n; \quad S = \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m a_{ij};$$

$$S^1 = S_1 - [\max(a_{i1}) + \min(a_{i1})];$$

$$S^2 = S_2 - [\max(a_{i2}) + \min(a_{i2})];$$

$$S^3 = S_3 - [\max(a_{i3}) + \min(a_{i3})];$$

.....

$$S^n = S_n - [\max(a_{in}) + \min(a_{in})];$$

$$\bar{S} = \sum_{i=1}^n S^i;$$

კოეფიციენტი $\frac{S^1}{S}$ არის შეფასების პირველი კრიტერიუმის კოეფიციენტი თითოეული კომისიის წევრისათვის., ანალოგიურად $\frac{S^2}{S}$ შეფასების მეორე კრიტერიუმის და ა.შ. $\frac{S^n}{S}$ შეფასების მე-n კრიტერიუმის კოეფიციენტი.

ანალოგიურად დავუშვათ, რომ რომელიმე პრეტენდენტი ორგანიზაციის სატენდერო წინადადება კომისიის წევრებმა შემდეგნაირად შეაფასეს:

სატენდერო კომისიის წევრი	I კრიტერიუმი	II კრიტერიუმი	..	m კრიტერიუმი
1	b_{11}	b_{12}	...	b_{1m}
2	b_{21}	b_{22}	...	b_{2m}
3	b_{31}	b_{32}	...	b_{3m}
..
n	b_{n1}	b_{n2}	...	b_{nm}
ჯამი	μ_1	μ_2	...	μ_n
კოეფიციენტი	$\frac{S^1}{S}$	$\frac{S^2}{S}$...	$\frac{S^m}{S}$

სადაც: $\mu_1 = \sum_{i=1}^n b_{i1}$; $\mu_2 = \sum_{i=1}^n b_{i2}$; ... ; $\mu_n = \sum_{i=1}^n b_{in}$; $m=1,2,\dots$

$$\frac{S^1}{S} \times \mu_1 + \frac{S^2}{S} \times \mu_2 + \frac{S^3}{S} \times \mu_3 + \dots + \frac{S^m}{S} \times \mu_n$$

ესაა სატენდერო წინადადების შეფასების ფორმულა. სატენდერო წინადადების შეფასებისას თითოეულ კრიტერიუმზე დაწერილი ქულების ჯამის


$$\mu_1, \mu_2, \mu_3, \dots, \mu_n,$$


შეფასების შესაბამის კოეფიციენტზე გამრავლებით მიღებული ნამრავლებისა შეჯამებით მიიღება ორგანიზაციის სატენდერო წინადადების შეფასების საბოლოო ქულა.

ანალოგიურად გამოითვლება სხვა ორგანიზაციების სატენდერო წინადადების შეფასების საბოლოო ქულებიც. ცხადია ტენდერში გამარჯვებულია ის ორგანიზაცია, რომელიც ჯამში მეტ ქულას მოაგროვებს.

მეორე თავის 2.2 ქვეპუნქტში დამკვეთი (შემსყიდველი) ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დავალების შემუშავება განხილული იყო შემსყიდველ ორგანიზაციებსა და საწარმოებში სტრუქტურული ერთეულების მიერ საქონლის, სამუშაოების, მომსახურების შესაძენად საჭირო განაცხადის ელექტრონული ფორმა (ფორმა-1ტდ), მისი შევსებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების განყოფილებაში გადაცემის მეთოდოლოგია. იქვე აღნიშნული იყო, რომ ფორმა-1ტდ წარმოადგენდა Access-ის ცხრილს და იგი შევსებული უნდა იყოს მკაცრი თანმიმდევრობით. ფორმა-1ტდ ანუ Request წარმოადგენს მონაცემთა ბაზა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები"-ს საბაზო ცხრილს, რომელიც ივსება ქვედანაყოფის ხელმძღვანელთა მითითებით ვებ-გვერდზე განთავსებული

ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის ბლოკ-სქემა №3.1.1





ბლოკ-სქემა №3.1.1-ის გაგრძელება

საბოლოოდ ყველა სტრუქტურული ერთეულიდან მიღებული დაკვეთა თავს იყრის შესყიდვების განყოფილებაში და, შეიძლება ვთქვათ, რომ ორგანიზაცია მზადაა ტენდერის გამოსაცხადებლად.

3.2. სისტემის რეალიზაციისათვის საჭირო

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება

სატენდერო დავალების ელექტრონული ფორმირებისას ვიყენებთ ცხრილს **Request**, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბაზის "მატერიალურ-ტექნიკური რესურსები"-ს საბაზო ცხრილს, რომელიც ივსება ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მითითებით ვებ-გვერდზე განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით Request-ის ფაილს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
IDNOM	Number	
Class	Text	3
Unit	Text	8
Marka	Text	255
Unitofgoods	Text	15
RequestQuantity	Number	single
BuyQuantity	Number	single
AlreadyBuyQuantity	Number	single
Secode	Text	4
Customer	Text	100
RequestDate	Text	4
IDPasPiri	Text	50
OK	Number	single
Cost	Currency	
BuyDate	Date/Time	

მოგვყავს ამ ფაილის შევსების მაგალითი:

id	class	unit	Marka	Unitofgoods	Request Quantity	Buy-Quantity	Already_Buy-	secode	Customer	Request Date	ID-PasPiri	ok
	302	30211100	სუპერ-კომპიუტერი	ცალი	1	1		1150	დ.დიდიგური	2011	ც.შაშხი	
	302	30213300	მაგიდის კომპიუტერი	ცალი	300	250				2011		
	302	30232110	ლაზერული პრინტერი	ცალი	48	45				2011		
	302	30232120	მატრიცული პრინტერი	ცალი	10	10				2011		
	302	30232130	ფერადი პრინტერი	ცალი	15	13				2011		

ფაილს C_Class აქვს ასეთი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Classifikator	Text	8
Class	Text	8
Description	Text	200

რეალურად ფაილი ასე გამოიყურება:

iid	Classifikator	Class	Description
1	30200000	302	კომპიუტერული ტექნიკა
2	32400000	324	ქსელები
3	24100000	241	გაზები

ფაილის C_unit სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Class	Text	2
Unit	Text	4
Description	Text	200

ამ ფაილის რეალური სახე ასეთია:

iid	Class	Unit	Description
1	01	0101	დესკტოპი
2	01	0102	პრინტერი
3	01	0103	სკანერი
4	01	0105	მონიტორი
5	01	0107	უწყვეტი კვების წყარო

ფაილი C_Classificator სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Classificator	Text	8
Description	Text	100

შევსების შემდეგ ფაილი ასეთი სახისაა:

id	Classificator	Description
1	30200000	კომპიუტერული ტექნიკა
2	32400000	ქსელები
3	24100000	გაზები

ფაილი Depart სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Decode	Text	3
Dename	Text	100

ამ ფაილის რეალური სახე ასეთია:

iid	Decode	Dename
1	001	რექტორის აპარატი
2	002	0102
3	003	0103

4	004	0105
5	005	0107

ფაილი Faculty სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
FaCode	Text	2
FaName	Text	100

რეალურად ფაილი ასე გამოიყურება:

ID	FaCode	FaName
1	01	ცენტრალური ადმინისტრაცია
2	11	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
3	12	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
4	13	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
5	14	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
6	15	იურიდიული ფაკულტეტი
7	16	მედიცინის ფაკულტეტი

ფაილი Sector სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Secode	Text	4
Sename	Text	100

ფაილი ასე გამოიყურება:

ID	Secode	Sename
1	0101	რექტორატი
3	0102	აკადემიური საბჭო
4	0103	წარმომადგენლობითი საბჭო
5	0104	კანცელარია
6	0105	პერსონალის მართვის დეპარტამენტი

ფაილი PasPiri ასეთი დიზაინისაა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
IDPasPiri	Text	5
Sname	Text	21
Fname	Text	10
Pname	Text	16
Decode	Text	2
Secode	Text	4
Phone	Text	9

მოგვეყავს ფაილის PasPiri შევსების მაგალითი:

id	IDPasPiri	Sname	Fname	Pname	Decode	Secode	Phone
1	01-01	აბაშიძე	ზურაბ	პლატონის ძე	01	0105	2661817
2	02-05	ჩიტიძე	იასონ	ნაუმის ძე	02	0231	2691809
3	12-02	მახაიძე	გიორგი	აკაკის ძე	12	1224	2186023
4	14-01	კაკუბავა	ბონდო	დემურის ძე	14	1422	2961819
5	16-02	დოჭვირი	თემურ	ილიას ძე	16	1621	2226514

ფაილი C_Valuta აქვს ასეთი სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
Valuta	Number	single
Discript	Text	10

შევსებული ფაილი C_Valuta ასეთი სახისაა:

ID	Valuta	Discript
1	0	ლარი
2	1	მანეთი
3	2	დოლარი
4	3	ევრო
5	4	ფრანკი

ფაილი C_OK სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
OK	Number	
Discript	Text	50

ფაილი C_OK ასეთი სახისაა:

OK	Discript
0	დაკვეთა არ არის დაკმაყოფილებული
1	დაკვეთა ამორჩეულია დასაკმაყოფილებლად
2	დაკვეთა სრულად არის დაკმაყოფილებული

ჩვენს სტატიაში "ონლაინ რეკიმში სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ფუნქციონირების საკითხისთვის გამოყენებულია შემდეგი ცხრილები:

1. ფაილი tcn-shefaseba სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
nomeri	Number	
rit	Number	
cwevri	Text	255
nshfaseba	Number	

ფაილი tcn-shefaseba შევსების მაგალითი:

id	ctenderi	nomeri	krit	cwevri	nshfaseba
1	CPV 30200000	102		kom1	5
2	CPV 30200000			kom2	3
3	CPV 30200000			kom3	2
4	CPV 30200000			kom4	2
5	CPV 30200000			kom5	0

2. ფაილი tkof სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
nkrit	Number	
nshfaseba	Number	

ფაილი tkoeff შევსების მაგალითი:

id	ctenderi	nkrit	nshefaseba
1	CPV 30200000	1	7
2	CPV 30200000	2	3
3	CPV 30200000	3	0
4	CPV 30200000	4	0
5	CPV 30200000	5	0

3. ფაილი tkoefficienti სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
nkrit	Number	
nshefaseba	Number	

ფაილი tkoefficienti შევსების მაგალითი:

id	ctenderi	nkrit	nshefaseba
7	CPV 30200000	1	7
8	CPV 30200000	2	3
9	CPV 30200000	3	0
10	CPV 30200000	4	0
11	CPV 30200000	5	0

4. ფაილი tkriteriumi სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
nkrit	Number	
cdasaxeleba	Text	255

ფაილი tkriteriumi შევსების მაგალითი:

id	ctenderi	nkrit	cdasaxeleba
7	CPV 30200000	1	ფასი
8	CPV 30200000	2	ხარისხი
9	CPV 30200000	3	გარანტია
10	CPV 30200000	4	გადახდის პირობები და

			კადები
11	CPV 30200000	5	გამოცდილება

5. ფაილი tkr-shefaseba სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
cwevri	Text	255
nkrit	Number	
nshefaseba	Number	

ფაილი tkr-shefaseba შევსების მაგალითი:

id	ctenderi	cwevri	nkrit	nshefaseba
203	CPV 30200000	kom1	1	6
204	CPV 30200000	kom1	2	3
205	CPV 30200000	kom1	3	0
206	CPV 30200000	kom1	4	0
207	CPV 30200000	kom1	5	0
208	CPV 30200000	kom2	1	6
209	CPV 30200000	kom2	2	3
210	CPV 30200000	kom2	3	0
211	CPV 30200000	kom2	4	0
212	CPV 30200000	kom2	5	0
213	CPV 30200000	kom3	1	1
214	CPV 30200000	kom3	2	7
215	CPV 30200000	kom3	3	2
216	CPV 30200000	kom3	4	2
217	CPV 30200000	kom3	5	8

6. ფაილი monawile სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
corganizacia	Text	255
hwinadadeba	Hyperlink	
nomeri	Number	

ფაილი tmonawile შევსების მაგალითი:

id	ctenderi	corganizacia	hwinadadeba	nomeri
7	CPV 30200000	1	Kaldani\Danarti1.pdf	101
8	CPV 30200000	2	Narimanidze\Danarti1.pdf	102
9	CPV 30200000	3	Boxua.pdf	103

7. ფაილი tshedegi სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
nomeri	Number	
nshfaseba	Number	

ფაილი tshedegi შევსების მაგალითი:

id	ctenderi	nomeri	nshfaseba
	CPV 30200000	101	84
	CPV 30200000	102	86
	CPV 30200000	103	64

8. ფაილი ttenderi სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
cdasaxeleba	Text	255

ფაილი ttenderi შევსების მაგალითი:

id	ctenderi	cdasaxeleba
1	CPV 30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი
2	CPV30200001	სამეურნეო საქონელი
3	CPV 30200002	საოფისე საქონელი

9. ფაილი Ttipebi სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctipi	Text	255
cfuncia	Text	255

ფაილი Ttipebi შევსების მაგალითი:

id	ctipi	cfuncia
2	A	ადმინისტრატორი
3	K	კომისიის წევრი
4	D	დამკვირვებელი

10. ფაილი tusers სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255
csaxeli	Text	255
cparoli	Text	255
ctipi	Text	255

ფაილი tusers შევსების მაგალითი:

id	ctenderi	csaxeli	cparoli	ctipi
1	30200000	kom1	kom1	K
2	30200000	kom2	kom2	K
3	30200000	kom3	kom3	K
4	30200000	dam1	dam1	D
5	30200000	adm1	adm1	A

11. ფაილი tvadebi სტრუქტურა:

Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctenderi	Text	255

ctipi	Text	255
ddawyeba	Data/Time	
ddamtavreba	Data/Time	

ფაილი tvadebi შევსების მაგალითი:

id	ctenderi	ctipi	ddawyeba	ddamtavreba
1	30200000	K	10/1/2011	11/11/2011
2	30200000	T	10/13/2011	11/14/2011

12. ფაილი Tvadtipebi სტრუქტურა:


Field Name	Data Type	Field Size
id	AutoNumber	
ctipi	Text	255
cfunqcia	Text	255

ფაილი Tvadtipebi შევსების მაგალითი:

iid	ctipebi	cfunqcia
1	K	კრიტერიუმი
2	T	ტენდერი

მოვიყვანოთ ფაილი **Request-ზე** მომუშავე მოთხოვნების (Queries) სტრუქტურა და მაგალითები;

1. QRequest: გამოაქვს მოთხოვნის სამუშაო ადგილის შესაბამისი თარიღით მოთხოვნილი კომპიუტერული ტექნიკის დასახელება, რაოდენობა, სავარაუდო ფასი და ამ ტენდერზე რა რაოდენობის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.



